№ 74

პარასკევი, 5 აპრილი 1902 წ.

1877—1902

ივერია

№ 74

პარასკევი, 5 აპრილი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

	თვე კ.		მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლების ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრების გარჩევა ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

(10—6.—9) ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.**

მთავარი კანტორა
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში.

1902 წლის 4 აპრილიდგან იწყებს ქ. ტფილისში ვაჭრობას

მხოლოდ კახეთის ღვინოებით

ფასები—ბოთლი 30 კაპეიკიდგან, ვედრო 4 მანეთიდგან. ნარდ და მუდმივ მყიდველებს ღვინო დაკლებულ ფასად დაეთმობათ. ვინც 10 ბოთლზედ არა ნაკლებ დაიკვეთავს, იმას კანტორა სახლში გაუგზავნის ღვინოს.

ღვინო გაიყიდება საკუთარის (კახეთი, სოფ. ბაკურციხე) და კახელ მემამულეთა საუკეთესო ვენახებისა: ღვინოებზედ თვალ-ყური ეჭირება და საზოგადოდ ამ საქმეს გაუძღვება სპეციალისტი, გამოცდილი მეღვინე.

ღვინო გაიყიდება:

ტფილისში: 1) საწყობთან (გოლოვინის პროსპ. დ. დობრჟანსკის სახლი, სახაზინო თეატრის პირდაპირ), 2) დეპოში № 1 (სასახლის ქ., საკუთ. სახ.), 3) დეპოში № 2 (ვორონცოვის მეიდ., ს. ნარიმანოვისა) და 4) ტფილისის საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ბაქოში: საკუთარ საწყობში. (5—324—1)

პირველ აპრილიდგან თფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიხსნა **ახალი თბილი აბანო თავ. სუმბათაშვილებისა** (ცალკე ნომრები და საერთო საბანაო კაცებისათვის). აუზები მარმარილოსია, იატაკები ტომეტისა და კედლები და თაღები ჩინურისა. აბანოს წყალი ბუნებით გოგირდისაა, სითბო წყლისა 37,5° ცელ. ფასი მცირედია. აბანოსთანვე დგება კონკა.
(3—326—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ქალაქის არჩევანების წინად

I

საზოგადო მოსაზრებანი.

რამდენიმე კვირაა უკვე, რაც ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა წინდაწინვე შედგენილი საარჩევნო სიები*). მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 1892 წლის საქალაქო დებულების ძალით საარჩევნო სიების შედგენა, გასწორება, გამოქვეყნება, საჩივრების განხილვა სიების უკანონოდ შედგენის შესახებ, არჩევნების დროს დანიშვნა—ესე ყოველთვის ქალაქის გამგეობის ხელშია და ამ საქმეში იგი ემორჩილება არა საბჭოს, არამედ საგუბერნიო ადმინისტრაციას.

როგორც გამგეობის მიერ შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებიდგან ვიცით, დაბეჭდილი სიები შესწორებულ უნდა იქმნას. ზოგი უკვე შიგ-ჩართული გამორიცხული იქნება სიებიდგან, ზოგი ახალი იქნება ჩაწერილი. საქალაქო დებულების მე-33 მუხლით, ქალაქის არჩევნებში არ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ იმათ, ვისზედაც ნახევარ წლისაზედ მეტი შეუტანელი გადასახადია დარჩენილი. ამ ნახევარ წელიწადს ანგარიშობენ სიების შედგენის დაწყებამდის. ჩვენი ქალაქის გამგეობაც ასე მოიქცა. სიების შედგენა დაიწყო 1901 წლის 26 ოქტომბერს და ამ დროის მიხედვით ჩასწერა სიებში ყველა, ვისაც შეტანილი ჰქონდა ცენზისათვის საჭირო გადასახადი. მაგრამ ახლა ეს დრო ქალაქის გამგეობას გაუწევია აპრილამდის და საჭიროა მეორე ნახევარ წლის შეუტანელ გადასახადის გადახდა, რომ სახლის მესაკუთრეს საარჩევნო უფლება არ დაეკარგოს, ე. ი. ახლა წელიწადი უნდა ვიანგარიშოთ აპრილამდის და არა წარსულის წლის ოქტომბრამდის. ჩვენ არ შევალთ იმის განხილვაში, თუ რამდენად სამართლიანი და კანონიერია გამგეობის ასეთი დადგენილება. ასე თუ ისე უკვე გამოცხადებული სიები უნდა შეიცვალოს, შესწორდეს. მაგრამ თუმცა ჩვენ მიერ ქვემოდ გარჩეული ცნობები წარსულ ოქტომბრის ცნობებია, მაინც ძირითადად არ შეიცვლება აპრილ-მაისისათვისაც და დაახლოვებით მართლად გადმოგვცემს დღევანდელს სინამდვილესაც. მათის შემწეობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საზოგადო სურათი ტფილისის საარჩევნო ძალ-ღონისა: რა გვარი დამოკიდებულებაა მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის, ქართველთა, სომხეთა და სხვათა შორის, შუა-გულ და განაპირა უბნებს შორის, როგორ არიან დანაწილებულნი ამომრჩეველნი უბნებად და საარჩევნო რაიონებად.

გავითვალისწინოთ ეს საზოგადო სურათი და ამის მიხედვით ვიმოქმედოთ.

ჩვენში ზოგიერთნი უარ-ჰყოფენ ჩვენსა და სომხებს შორის ეროვნულს უთანხმოებას, კერძოდ უარ-ჰყოფენ ამას ტფილისის თვითმმართველობაშიაც. მათის შეხედულობით, აქ ეკონომიური ქიშპობაა, წვრილ და სხვილ მესაკუთრეთა და მწარმოებელთა შეჯახებაა მხოლოდ, სხვა არაფერი.

ყველაზედ უწინარეს ნუ გვგონია, რომ ეროვნობის აღიარება რეტროგრადობას და უკან ჩამორჩენას მოასწავებდეს. შეიძლება უკეთესი იყოს, რომ ადამიანები არ განირჩეოდნენ ერთმანეთში ეროვნულად. მაგრამ რა ვქნათ, რომ არსებობენ ერნი, ერთის ერის წევრნი უფრო ენათესავებიან ერთმანეთს, უფრო რჩეობენ ერთმანეთთან ყოფნას, ვიდრე სხვა ერის წევრთან, რომ ერს აქვს თავისი ენა, თავისი კულტურა, თავისი ზნე-ჩვეულებანი, რომ ადამიანი უფრო ადვილად ეხმარება თავის ერის კაცს, ვიდრე უცხოს... რა ვქნათ, რომ ადამიანს ერთნაირად არ უყვარს ყველ ადამიანი, არამედ განსაკუთრებით ზოგიერთი; რა ვქნათ, რომ ადამიანს ერთი თვალი კიდევ უკან არ გამოჰბმია. —შეიძლება ეს მისთვის ძლიერ სასარგებლო ყოფილიყო. ასე არ არის, და ჩვენც უნდა ვხედავდეთ იმას, რაც არის. არის ეროვნული განსხვავება, არის ეროვნული „მიკერძოვებაც“, ცოტა რომ მკვახედ ვსთქვათ. ამის თქმა როდი ჰნიშნავს რისამე ქადაგებას; ეს მხოლოდ ფაქტის აღნიშვნაა.

ვიდრე ჩვენი და სომხების ცხოვრება განუვითარებელი იყო, ჩვენი თავი, ჩვენი ვინაობა, ინტერესები არ შეგვეგნო კარგად, ერთმანეთში უსიამოვნებასა და ურთიერთობაზედ არსად იყო ლაპარაკი. მესამოცე წლებიდგან ძირიან-ფესვიანად შეიცვალა ჩვენში წოდებათა და კლასთა ურთიერთობის საფუძველნი, ცხოვრებამ მეტის სისწრაფით დაიწყო მიმდინარეობა, ფეხი გადვდგით წინ, ქართველებმაც შევიგნეთ ქართველობა და სომხებმაც—სომხობა. დღეს ორივეს გვინდა, ,,თავისიანები'' გვყავდეს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაში, რადგან თავისიანები უკეთ მოგვივლიან, გვიპატრონებენ; ორივეს გვინდა ვითვითმმართველოთ. ამ საერთო ასპარეზზედ გამოსვლას, ამ ურთი-ერთობას თან მოჰყვა ჩვენი და სომხების უთანხმოება და შეჯახება. ადამიანთათვის ძალიან ძნელია თავიანთ ურთი-ერთობაში დაიცვან სამართალი. საერთო უფლების—სამართლიანობის დამკვიდრება იშვიათი მოვლენაა ძლიერ. რაც ერთს უფლებად მიაჩნია, მეორეს უფლების უარყოფა ჰგონია. მე მგონია ეს ჩემი კანონიერი და სამართლიანი უფლებაა-მეთქი, თქვენ-კი გგონიათ არა, ეგ ჩემი უფლებააო...

ჩვენთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უფრო კულტურული ხანა აუცილებლივ დადგება, მაგრამ რაც იქნება, ჯერ როდი არის და მომავალის მიხედვით, რომ დღეს არსებული არ დავინახოთ, თვალი ავარიდოთ, ამით მხოლოდ საქმეს ვავნებთ. დღეს ჩვენ და სომხები ვექიშპებით ერთმანეთს. რასაკვირველია, ამ ქიშპობაში ეკონომიურს ძალას დიდი, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ცენზი საერთოდ ტფილისში უთანასწორდება სომხების ცენზს. მაშინ დღევანდელივით გამწვავებული ბრძოლა არ დაგვჭირდებოდა და ასეთი ბრძოლა უადგილოც იქნებოდა, რადგან როდესაც მეც 10 ძალა მაქვს, მაგალითად, და სომხებსაც-10 ძალა, სომეხს უნდა თუ არა, მე მაინც შემიძლიან 10 კაცი ავირჩიო ხმოსნად ქალაქის საბჭოში. თუმცა ამ შემთხვევაშიაც სრულიად არ ისპობა სურვილი „ჩვენების“ ამორჩევისა; მაშინაც დარჩება ცდა და მეცადინეობა, რომ ყველა „ჩვენი“ დაესწროს არჩევანებს, ყველა „ჩვენმა“ შეიტანოს შეუტანელი გადასახადი, „ჩვენის“ ინტერესების საუკეთესო დამცველნი და საზოგადოდ გამოცდილნი მოღვაწენი იქმნენ არჩეულნი... მაგრამ დღეს არამც თუ არითმეტიკული თანასწორობა არ არის ჩვენსა და სომხების საარჩევნო ძალთა შორის, არამედ ტფილისის საქალაქო ამომრჩეველთა ისეთს მცირე რიცხვს შევადგენთ ქართველები, რომ სომხებს ადვილად შეუძლიანთ, თუ მოინდომებენ, თუ ცენზის გარდა სხვას არაფერს მიიღებენ მხედველობაში, როგორც ეს შეიძლეს წინანდელ არჩევნების დროს, თითქმის ერთი ხმოსანიც არ აირჩიონ ჩვენს შორის. მით უმეტეს იქნება ამის გამო დღეს ბრძოლა: იქნება მეცადინეობა ქართველების მხრივ, რომ ჩვენც მოგვეცეს შეძლება და რაც შეიძლება მეტი შეძლებაც, მონაწილეობა მივიღოთ ქალაქის თვით-მმართველობაში, და—იქნება რეაქცია ამ ჩვენის მეცადინეობის წინააღმდეგ სომხების მხრივ.

თამამად და უშიშრად შევხედოთ ამ ბრძოლას; იგი სიცოცხლის ნიშანია. მხოლოდ ყოველ მხრივ შევისწავლით, ავსწონ-დავსწონოთ, შევუფეროთ მომავალი, გავითვალისწინოთ სხვა გარემოებანიც და ვეცადოთ, რომ ბრძოლა, რაც შეიძლება, სამართლიანი და ადამიანური იყოს. ბრძოლის დროს ნუ მივუყვანთ უკიდურესობამდე ველურს პირუტყვულს ინსტინქტებს და ნუ დავკარგავთ ერთმანეთისადმი პატივისცემას...

ახლა მივმართოთ ციფირებს და ზოგიერთი აზრი მათის შემწეობით განვმარტოთ.

კალამი.

---

*) Предварит. избират. списки по гор. Тифлису на четырехлѣтіе 1902—1906 г.

ახალი ამბავი

✦ ქალაქის გამგეობაში 18 აპრილს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემ ქალაქის ორ ნაჭერ მიწისა. თითო ნაჭერი შეიცავს 600 ოთხ-კუთხ საჟენს. დღეს ორივე ნაჭერი იჯარით უჭირავთ თეიმურაზ და ესტატე ჯაფარიძეებს.

✦ 3 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში, პოლიცმეისტრის მონაწილეობით ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიას სხდომა შესახებ ცეცხლის ჩამქრობ რაზმებისა და ბუხრის მწმენდავებისა. კომისიამ დაადგინა: 1) ქალაქმა უნდა იყოლიოს ცეცხლის ჩამქრობი ორი რაზმი, ერთი მტკვრის გაღმით, მეორე გამოღმით. წელიწადში ორივეზედ დაიხარჯება 41,440 მან. ერთ-დროებითად მეორე რაზმის მოსაწყობად უნდა დაიხარჯოს 16,760 მან; 2) კომისიამ აგრეთვე საჭიროდ სცნო ქალაქმა იყოლიოს ბუხრის მწმენდელნი. როგორც კომისიამ გამოიანგარიშა, ბუხრის მწმენდავების შემოსავალი ცეცხლის ჩამქრობ მეორე რაზმის ხარჯსაც დაჰფარავს; 3) ბუხრის მწმენდელთ შორის იყოს 10 უფროსი, თითო 360 მან. ჯამაგირით და 20 უმცროსი მწმენდავი, თითო 300 მანეთის ჯამაგირით. იარაღზედ დაიხარჯება 400 მანეთი; სულ მთელი ხარჯი იქნება 10,000 მანეთი. 4) რესტორანების და მეხაშეების ბუხრები უნდა დაიწმინდოს თვეში ორჯელ; სახლების სამზარეულოს ბუხრები უნდა დაიწმინდოს ორ თვეში ერთხელ, ხოლო დანარჩენი ბუხრები წელიწადში სამჯერ.

✦ სოფლის სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად დანიშნული თათბირი ამ ჟამად იხილავს ტაინი სოვეტნიკის ვ. ი. კოვალევსკისაგან წარდგენილს პროგრამას. ამასთანავე გადაუწყვეტიათ ეხლავე შეიმუშაონ წვრილი კრედიტის საქმე. უნდათ ამ კრედიტს რაც შეიძლება ფართო ასპარეზი მიუჩინონ.

✦ გამგეობამ და განსაკუთრებულმა კომისიამ შეერთებულ სხდომაზედ განიხილეს ქალაქის ტეხნიკოსთა მოსაზრებანი შესახებ ქალაქის იმ ქუჩების გაკეთებისა, რომელთაც გაუმჯობესებულ წესით უპირებენ მოკირწყლვას. ამ სხდომაზედ გამოირკვა, რომ ყველა მოსაკირწყლავ ქუჩებისა და მოედნების რაოდენობა უდრის 33,394 ოთხ-კუთხს საჟენს. აქედან ქალაქმა თავისს ხარჯით უნდა მოკირწყლოს მხოლოდ 16,000 ოთხ-კუთხი საჟენი, რაც დაახლოვებით დაჯდება 480,000 მანეთი, ე. ი. საჟენი 30 მანეთად. მაგრამ რადგან ამ მოკირწყლვის საქმე დამოკიდებულია იმისგანაც, თუ როგორ გადაწყდება და გათავდება ელექტრიულ ტრამვაისა და განათების საქმე, ამიტომ გადასწყვიტეს ჯერ-ჯერობით ნუ შეუდგებიან ქუჩებ-მოედნების მოკირწყლვას. მხოლოდ მერმისისათვის საჭირო გეგმების შესადგენად გადასდვეს 2000 მანეთი. გეგმების შედგენა მიენდობა საგანგებო მოწვეულ სპეციალისტებს. ვრცელი მოხსენება და უფროსი ზედამხედველობა ამ საქმისა მიენდო გამგეობის წევრს ტ. ენფიანჯიანცს.

✦ გუშინ, აპრილის 4-ს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

✦ საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს წყლის ონკანოში ვედრებს და კრუშკებს, რომლებიც ერთობ დაჟანგებულან და ხალხში შეიძლება რამე ავადმყოფობა გააჩინონ.

✦ ორშაბათს, 8 აპრილს, საღამოს რვა საათზე, სამხედრო შტაბის შენობაში დანიშნულია კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. ამ კრებაზე შტაბს-კაპიტანი პ. ა. ტომილოვი წაიკითხავს მოხსენებას სამხრეთ-დასავლეთ სპარსეთში (ბაქტრიაში და კარაუნში) მოგზაურობის შესახებ და ამორჩეულნი იქმნებიან საზოგადოების ნამდვილი წევრები. კრებაზე გარეშე პირთაც შეუძლიანთ დასწრება.

✦ კვირას, შვიდ აპრილს, დილის ათ საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრებისა,

რომლებმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ: 1) საზოგადოების 1901 წლის მოქმედების ანგარიში, 2) დაამტკიცონ ხარჯთ აღრიცხვა 1902 წლისა, 3) მოისმინონ სარევიზიო კომისიის და მეთვალყურე კომიტეტის წევრების მოხსენება და 4) ამოირჩიონ გამგეობის ერთი დირექტორი და ზოგიერთი წევრები მეთვალ-ყურე კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

✦ რედაქციამ მიიღო № 4 ჟურნალის „Кавказскій Вѣстникъ«-ისა შემდეგის შინაარსით: I. იმედი, პოემა ლექსად ვ. ორბელიანისა, თარგმნილი ა. ს., II. წერილის ნაწყვეტი, ლექსი ან. ტხ., III. მოძღვარი, მოთხრობა ა. ყაზბეგისა, ნათ. ი. ვეზიროვისა, IV. ნუ მკითხავ! ლექსი ე. ალიბეგოვისა, V. პატიოსნება, რომანი შირვანზადესი, VI. ძველი ლექსებიდგან, ლექსი ლ. მედვედევისა, VII. მაწანწალა, ლექსი ა. რ., VIII. ამორძლები კავკასიაში, ე. აპარინისა, IX. მოგზაურობა სამეგრელოში, სამურზაყანოში და აფხაზეთში, კ. განისა, X. თერგის ოლქის ზეგანი, გ. ცაგოლოვისა, XI. განჯის გუბერნია, შთაბეჭდილებანი ი. სეგალისა, XII. ახალ აღმოჩენილი სომხური ტექსტი „პარალიპომენონისა“ ნ. მარრისა, XIII. ენა და ლიტერატურა სომხებისა, XIV. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, XV. კავკასიის ქრონიკა. XVI. უცხოეთის მიმოხილვა, XVII. ნარევი, XVIII. განცხადებანი.

—

იმერეთის ამბები.

—

✦ **ქუთაისი**: „31 მარტს საურთიერთო ნდობის ბანკში საზოგადო კრება იყო დანიშნული. კრება თუმცა მრავალ-რიცხოვანი იყო, მაგრამ $^2/_3$-ს მაინც დააკლდა შვიდიოდე კაცი და კრება რჩევის თავმჯდომარემ დ. ბაქრაძემ სხვა დროსთვის გადასდო. ცოტა მოცდითაც-კი კრება შესდგებოდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდათ, ერთის პარტიისათვის ეს ხელსაყრელი არ იყო“...

✦ **იქიდგანვე**: 31 მარტს აქ ჩამოვიდა კიევიდგან კარგად ცნობილი ქირურგი კ. მ. სოპეშკო, რომელიც საგანგებოდ იყო დაბარებული მდიდარის ვაჭრის მ. შნეიდერისათვის ოპერაციის გასაკეთებლად. შნეიდერი ს. თოფურიას სამკურნალოში იწვა და ქუთათური ექიმები ოპერაციაზე უარს ამბობდნენ, ვერ აიტანსო. შეძლებულ ავადმყოფს სიცოცხლის სურვილი დიდი ჰქონდა და ამისათვის მან არ დაინანა უდიდესის (6000 მან.) გონორარის გაღება ექიმისათვის და რუსეთიდგან მოიწვია ქირურგი. სოპეშკომ 2 აპრილს გაუკეთა ოპერაცია, მაგრამ ავადმყოფმა ვერ აიტანა და გარდაიცვალა. საზოგადოების, და განსაკუთრებით ექიმების, ყურადღება რუსეთიდგან ჩამოსულ ექიმზე იყო მიპყრობილი, ყველას ეინტერესებოდა, როგორ გათავდება ეს ძნელი ოპერაციაო.

✦ **ს. კაპნის-თავი** (ქვედა აჭარა): აქ დგანან სულ შვიდნი მოსახლენი, რომელთა შორის, სამწუხაროდ, დაუმცხრალი შფოთი არის ჩამოვარდნილი სისხლის ძიების გამო... იქამდის გამწვავდა მათს შორის დამოკიდებულობა, რომ ყველას გადაწყვეტილი აქვს გაჰყიდონ თავიანთი სახლ-კარობა და სხვა-და-სხვა კუთხეებში გადასახლდენ, ან-და ოსმალეთში გადავიდნენ. მიწები სახელმწიფოა, დღევანდელ მფლობელთაგან კარგად გაშენებული. ჰავა ჩინებულია, ცივი და გემრიელი წყლები, წისქვილები თითქმის ყოველს ნაბიჯზეა. გაშენებულია ეს სოფელი ზეგანზე, აჭარის წყლიდგან 1 $^1/_2$ ვერსზე, გადმოსახედი კარგია... „ჩემი ლუკმა გავარდეს, ჩემს ჯამში ჩავარდესო“, ამ ანდაზისა არ იყოს, კარგი იქმნება ზემო იმერლები, ან რაჭველები, რომელთაც სხვაზე უფრო აწუხებთ მიწის სივიწროვე, იყიდდნენ ამ კაპნის-თაველების კარ-მიდამოებს და დასახლდებოდნენ მათს მამულებზე...

✦ **ფოთი**: კოქსის უქონლობა დღემდის ერთობ უშლიდა ხელს ჩვენს ქვეყანაში ლითონთ გადადნობასა და მრეწველობის საქმეს. შიდა რუსეთში უკვე რვა ქარხანა არსებობს ტორფისაგან კოქსის მისაღებლად და, გარდა ამისა, დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვში დიდ-თანხიანი საზოგადოება შესდგა, რომ კიდევ დაიარსონ ესეთი ქარხნები.

ჩვენს ქვეყანას-კი სძინავს, თუმცა აუარებელი რაოდენობა ტორფისა გვქონია, როგორც სპეციალისტებმა გამოიკვლიეს რიონის შესართავს ახლო: ქალადიდში, პალეოსტომის ტბისა და მალთაყვის მიდამოებში და ქობულეთში, სოფ. სმეკალოვკაში. მალთაყვის ნაპირების ტორფს 28 ფუტი სისქე აქვს, თვით ტორფი ჩინებულის ღირსებისაა, კუპრიანი და პარაფინ-ნარევია. პარაფინი იმდენად დიდი % ურევია, რომ ფრანგი გოკიე აგორგოლებდა მათ და ჰყიდდა ბუხრებში ასანთებად. კოქსის წარმოება ჩვენებურის ტორფისაგან თამამად შეიძლება საუკუნოებით ისე, რომ მასალა არ გამოილევა, რადგანაც ფოთისა და თვით ქობულეთის ტორფის რაოდენობა დიდ-ძალია. თუ ტორფის წარმოებას ხელს მოჰკიდებენ ციგლერის სისტემით, მაშინ ტორფიდგან კოქსის გარდა მიიღებენ სხვა ნივთთაც, მაგალ. კუპრსა და პარაფინს და მარტო ეს დაჰფარავს ყოველსავე ხარჯს წარმოებისას. ნახევარ კოქსი ჩინებული, ეკონომიური, თითქმის უკვამლო დასანთებია სამზარეულოებისა და ორთქლის ქვაბებისათვის. თვით კოქსი-კი ტორფის კვინტ-ესსენცია არის და დაუფასებელია ლითონთა გადადნობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ბევრია რკინის მადანი. მათი ნაწარმოები საკმაო იქმნებოდა მთელის ქვეყნიერობისათვის, მაგრამ უკოქსობის გამო დღემდის თვით რუსეთსაც არა ჰქონდა თავისს სახელმწიფოში ნაკეთები ლურსმანი და ნალი,—ყველა ეს საზღვარ-გარეთიდგან მოჰქონდათ, რაც ერთი-სამად და ოთხად უფრო ძვირად უჯდებოდა მოჭირნახულე ხალხს...

ტორფის კოქსი საუკეთესოა მადნეულობის გადასადნობად. ფოთში რომ ქარხანა დააარსონ ტორფიდგან კოქსის მისაღებად, თითოეული ფუთი კოქსისა ეღირება ერთ აბაზამდე. ხუთ შაურადაც რომ დაუჯდეს ლითონთ გადამდნობ ქარხანას ფუთი კოქსი, მაშინაც მოსაგები იქნება არა მარტო ისეთ ლითონების გადადნობა, როგორც თითბერი, ცინკი, ტყვია და სხვ., არამედ რკინისაც. მაშინ, გარდა ამისა, შეიძლებოდა თვით ფერო-მანგანის (რკინა შავი-ქვა) წარმოებაც, რასაც ის სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, რომ შავი ქვის საზღვარ-გარეთ გაზიდვა აღარ დაგვჭირდებოდა, აქვე დავიმუშავებდით მას და დაუმუშავებელის მადნეულობის მაგიერ დამუშავებულს ლითონს გავგზავნიდით უცხოეთში, რაც ბევრად უფრო მეტს ფულს შემოიტანდა ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღევანდელი წესი შავი-ქვის გაყიდვისა .. ამას ნუ დაივიწყებენ ნურც ჩვენი შავი-ქვის მრეწველნი და ნურც ქალადიდის, პალეოსტომ-მალთაყვის მიდამოებისა და ქობულეთის მემამულენი. ის, რაც დღემდის უსარგებლო ჭაობი გვეგონა თურმე, ტორფი ყოფილა და ფასი ჰქონია...

დაბა და სოფელი

—

სოფ. მექვენა (ლეჩხუმის მაზრა). ქუთაისიდგან დ. ონამდე მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზედ მიდის გზა-ტკეცილი, წოდებული „სამხედრო ოსეთის გზად“, რომელიც სიგრძით ასს ვერსს აღემატება. ეს გზა შეიძლება ჩაითვალოს რიგიან გზად მხოლოდ ოც ვერსზედ ქუთაისიდგან, დანარჩენი-კი ღმერთმა შეინახოს! ალაგ ძნელად გასასვლელი ტლაპოტალახები და გუბეებია, ალაგ მეწყერებია, ალაგ ავდრის გამო პატარა მდინარეები ისე ადიდებულია, რომ გასვლა შეუძლებელია და სხვა... საკვირველია მაინც: სადაც მეტი საჭიროება მოითხოვს, იქ სრულიადაც არ აყრიან ხრეშს და სადაც თითქმის ხრეშ-მოუყრელადაც შეიძლება რიგიანი გზა დადგეს, იქ-კი ზედმეტსაც აყრიან. ამ გვარად აქეთკენ მოგზაურთ ბევრი ტანჯვა-წვალება მოელისთ მგზავრობის დროს, ნამეტნავად როდესაც ცუდი ამინდები, ან ზამთარია. მაინც გზა-ტკეცილზედ შესამჩნევი მოძრაობაა: დილის განუწყვეტლივ მრავალი ურმები სხვა-და-სხვა გვარის საქონლით დატვირთული, ფაიტონები, ლინეიკები, „ტროიკები“ და სხვა. ზაფხულში ხომ, როდესაც უწერაში (ონს ზევითაა) მჟავე წყლებზედ მიდიან, მისვლა-მოსვლა მეტად ცხოველდება, ასე რომ ყველა ამ გზაზედ მოსიარულე ეტლი ძლივს ასდის წყლებზედ წასვლის მსურველთ. აქამდე მეეტლენი ძლიერ კარგ ქირას იღებდნენ, მაგრამ ახლა იმათი საქმე ძლიერ ჩავარდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ წელს იანვრიდგან ამ გზის ფოსტის სადგურები საჯარო ვაჭრობით დარჩა ერთს მდიდარს მალაკანს, რომელმაც ტროიკებს გარდა გაიჩინა მშვენივრად მოწყობილი ომნიბუსები, დილიჟნები და ფაიტონები. ეს ძლიერ არ ეჰაშნიკათ, როგორც წინანდელ ფოსტის სადგურების ამღებს მ. ა—ძეს, მით უმეტეს მელინეიკეთ, რომელთა რიცხვიც ორმოცამდე იქნება. ა—ძემ ურჩია მელინეიკეთ თავი დაენებებიათ ლინეიკებისათვის და მისთვის საკუთრად ეცლიათ ამ გზაზედ მისვლა-მოსვლის მოწყობა და აძლია, როგორც ამბობენ, რამდენიმე ათასი მანეთი. მაგრამ მელინეიკეები მაინც არ დასთანხმდნენ და თავისი არ დაიშალეს. გაიმართა ამ სამთა შორის დიდი „კონკურენცია“, ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ—მეტოქეობა და იქამდის მიაღწიეს, რომ ორმოც-და-ათ ვერსზედ ფაიტონით 2 მანეთის, 1 მ. 50 კ. მაგივრად მანეთად, ხშირად ოთხ აბაზად და უფრო ნაკლებადაც მიჰყავთ. ერთის სიტყვით იმას არ უყურებენ, თუ რა აიღონ, არამედ სულით და გულით იმის ცდაში არიან ერთმანეთს მუშტარი წაართვან და, თუ გინდა, ტყულა წაიყვანონ, მაინც გამარჯვებულათ სთვლიან თავს. ეს საზოგადოებისათვის, რომელიც რკინის გზის უქონლობას ბევრად აღარაფრად აგდებს, მეტად სასიხარულოა, მაგრამ იკითხოს მეტოქეთა ჯიბეებმა!.. მართალი რომ მოგახსენოთ, მალაკანს და თითქმის არც ა—ძეს იმდენად არა უჭირთ-რა, რადგანაც ცოტა შეძლება მოსდევთ, მეტადრე მალაკანს; ესენი კონკურენციას, როგორც იქნება, გაუძლებენ, სანამდის მოსახერხებელი იქნება, მაგრამ რა ჰქნან მელინეიკეებმა, რომელთაც არც შეძლება მოსდევთ იმდენი და რაც-კი შეძენილი აქვთ, იმასაც ამ მწარე კონკურენციაში ჰლუპავენ, რადგანაც მათგან აღებული ქირა ხარჯსაც ვერ უსწორებთ. თავის დანებებაც ეძნელებათ, რადგან ზოგიერთის მათგანის ცხოვრების სალსარი მელინეიკობაა და თავიც რომ დაანებონ, რა უყონ ლინეიკებს და ცხენებს, ვინ არის მათი მყიდველი, ვის სჭირდება!?. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ბოლოს დროს, კონკურენციის ბრალი იყო, თუ სხვა რამესი ან ვინმესი, მალაკნის დილიჟანი ერთს დილას ამ დღეებში სადგურ ალპანიდგან (50 ვერსზეა ქუთაისიდგან) მოულოდნელად გამქრალიყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ მალაკნის იამშჩიკები და ბევრის ძებნის შემდეგ რამდენისამე საჟენის დაშორებით სადგურზედ ჰნახეს დილიჟანი დიდ კლდეზედ გადავარდნილი, თუ გადაგდებული, დამსხვრეული, გულ-აღმა მდებარე მდ. ლაჯანურში, რომელიც რიონს ერთვის. გამოძიება სწარმოებს, რომელიც, შესაძლებელია, დამნაშავეს აღმოაჩენს. მალაკანი ამ შემთხვევას, უკულმართობით სავსეს, მაინც არ შეუშინდა; პირიქით მეტი ენერგია მოიცა და ახლა თურმე ხუთის დილიჟნის გაწყობას აპირებს. ღმერთმა ინებოს ოციც გაეწყოს, რადგანაც მისვლა-მოსვლა რაჭა-ლეჩხუმისკენ ძლიერ გაადვილდება დილიჟნების კარგად მოწყობისა და დანიშნულს დროზედ მათის სიარულის წყალობით. ეს ორივე სანატრელი ღირსება მოგზაურობისა ჯერ-ჯერობით მტკიცედ აქვს დაცული მალაკანს, მაგრამ, ჩვენებურის ანდაზისა არ იყოს, „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ნაგავსაო“, ისე არ დაგვემართოს, იმასა ვშიშობთ...

აქეთკენ მშვენიერი ამინდებია. არ ახსოვს არავის, რომ ოდესმე მარტს ამისთანა მშვენიერის დარებით გაეაროს. ტყე და ველი მწვანით შეიმოსა და ყველგან გაცხარებული მუშაობაა გაჩაღებული.

ქსენოფონტ მიქაუტაძე.

—

ქურთათის ხეობა (კავკავის მაზრა). ყოველ წელიწადს და თითქმის ყოველთვის, ბარიდან შესავალი, ეგრედ წოდებული მაირამის ქალა (მაირამადაგ) ქურთათის ხეობაში ავაზაკების ბუდეთ არის გადაქცეული. ძარცვა-გლეჯა და კაცის-კვლა აქ ყოველთვის ხშირი და გამოულეველია; აი, ერთი მაგალითი: თებერვალში, ქურთათის ხეობის სოფ. მუარიყავაში მცხოვრები დოდიკა ბესაევი, ხარის ურმით თავის უმცროსი ძმით, მოდიოდა კავკავიდგან. მოატანეს თუ არა ქურთათის ხეობის შესავალს ზემოხსენებულს ჭალას, დაუღამდათ. დოდიკა ბესაევი თვით ყაჩაღად ნამყოფია, თითქმის, ყველა ნაირი ენა იცის. იცის აგრეთვე ყაჩაღების ჩვეულებაც; იცის, ყაჩაღებს რომ შეხვდეს კაცი, როგორ უნდა მოექცეს, რა უთხრას, რომ ყაჩაღებმა არ გამოასალმონ წუთი-სოფელს; ამიტომ თუმცა დოდიკას ბევრი ეხვეწნენ ნათესავები სოფ. გიზელში „დარჩით ამაღამ, თორემ ხომ იცით დაგიღამდებათ და საშიშია გავლა მაირამის ქალისაო“, დოდიკამ არ დაიშალა, „თუნდაც რომ შემხვდნენ ყაჩაღები, ისინი მე ვერას დამაკლებენო.“ ანდაზისა არ იყოს: „ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანსო“,—დოდიკასაც ისე მოუვიდა. დაუღამდა და, აი, მიაღწიეს თუ არა აღნიშნულ საშიშ ალაგს, გადმოუდგნენ გზაზედ რვა შეიარა-

---

ფელეტონი

—

თიანური ფელეტონი.

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა-კი ფქვასო“. ქართველმა მეფელეტონემ და კორესპონდენტმა ეს ანდაზა კარგად უნდა დაიხსომოს, ღმად ჩაიჭდიოს, ჩაინერგოს გულში, თორემ გაჭირდა საქმე: თუ სადმე რამ ნაკლი ჰნახე სოფლად, დაბად, ან ავი ხმა გესმა, უნდა თვალი მოარიდო და ყურიც მოიყრუო; უნდა ხმა—კრინტი არ დასძრა. იტყვი და, ვაი, შენი ბრალი მაშინ!.. ვისაც უფრო ბუმბულიანი ცხვირი აქვს, უწინარეს ყოველთა და ყოვლისა, ის გაატანს წყალსა და ღვარს შენს ნათქვამ-ნაწერს. რით და როგორ? დაგაბრალებს პირადობას, მორჩა და გათავდა. შეიძლება გულ-უბრყვილო მკითხველი კიდევაც დაითანხმოს, ჩაითრიოს.

იმასაც აღარავინ კითხულობს: განა, არ იქნება კაცს კაცთან პირადობა ჰქონდეს და სწორედ ამ აღძრულის პირადობის წყალობით, შეფერებულად, ღირსეულად ჰკიცხავდეს მას, ვისთანაც წყალი ამღვრევია,—მხოლოდ დღესდა ჰბედავდეს მის ცოდვების გამოაშკარავებას? არ არის ეს პატიოსნება, არ არის კაი საქციელი, მაგრამ ცხოვრებაში-კი უფრო ხშირად ასე ხდება: უფროსის ცოდვებს მისი ხელ-ქვეითი, მოსამსახურე მხოლოდ მაშინ გამოააშკარავებს, როცა უფროსი მას ადგილიდგან ითხოვს, მასთან აღარავითარი დამოკიდებულება აქვს. ნამეტნავად ჩვენში, ქართველებში, უფრო მოსალოდნელია ამისთანა ხრიკი: ჩვენ პურ-მარილისა დიდი თაყვანის მცემელნი ვართ და ადვილად ვერ გავიმეტებთ ჩვენს პატივის მცემელს, ჩვენს მეპურ-მარილეს თუნდა ცოდვებსაც ვუტყობდეთ, გავაბიაბრუოთ, ვიდრე ჩვენ პირადად არ გვაწყენინებს, არ გაგვამწარებს, ხოლო მაშინ-კი... დიაღ, მაშინ, აღიხმიან ბაგენი და წარმოსდინდებიან სიტყვანი... არ არის კარგი არა! ავის კაცის პურ-მარილიც მოსარიდებელია და ცნობა-მეგობრობაც. „გამარჯვებაც“-კი არაა მისი საჭირო!..

ასეა თუ ისე, ჩვენ სიმართლეს მაინც ნუ ვუღალატებთ, სიმართლეც ვთქვათ, ცილს მოვერიდოთ, გადაჭარბებას, ჭირი გამოვააშკარაოთ, რადგან დაფარული, დამალული ჭირი უფრო მავნებელია, ვიდრე ნათქვამი და გამოცხადებული. ექიმი მხოლოდ გაგებულს, გამოცნობილს სნეულებას უშველის შესაფერის წამლების მეოხებით.

„კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო“ ნათქვამია და როცა იქამდე მივა საქმე, რომ ჭირი თავის თავს გამოაჩენს, მაშინ ექიმის მეცადინეობა ცოტა არ იყოს დაგვიანებულია.

მაშ დავიწყოთ და ვთქვათ. თქმა აჲვილია, ხოლო ქმნაა ძნელი.

—

ჩვენს მხარეს, სხვათა შორის, ერთი ჭირი სჭირს და ამ ჭირით მარტო ჩვენ არა ვართ დაავადებულნი, არამედ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებიც. ეს ჭირი სამიკიტნოების გამრავლება გახლავთ. საცა ოთხი-ხუთი კომლი სადმე სჩხირია, იქვე საყდელში უსათუოდ დუქანია დასკუპებული. აზრი და მიზანი მედუქნისა ყველასთვის აშკარაა; უნდა სწოვოს დუქანმა სისხლი და ტვინი ოჯახებისა,—თვით გასუქდეს, ოჯახის მაცოცხლებელის ძალით თვით შეიმოსოს; იმისი ქონი თავად მოიკრას, ხოლო ოჯახს-კი, თუ წყალი და ღვარი წაიღებს, ამაზე დუქანი თავს არ აიტკივებს. დუქანი ოჯახის მეტოქეა და მერე როგორი!— მეტად შეუწყნარებელი, მეტად დაუზავებელი, მეტად ულმერთო და თავ-მოყვარე. დუქნის დაუცხრომელი წადილია—ოჯახის ნანგრევებზე თავისი დიდება აღმართოს, თავისი ბაირაღი ააფრიალოს... ან რა ძნელი გაგება ამას უნდა!?. იმიტომ ხომ არ აღებს მედუქნე დუქანს სოფელში, სოფელი ავაშენოო. ასეთი გიჟი მედუქნე სად თქმულა? სად გაგონილა?

ხალხიცა ჰგრძნობს ამას, ხოლო ერშიაც მოიპოვებიან ისეთნი, დუქანს მოწყალე თვალით რომ უცქერიან. ესეც ზოგიერთი ჩვეულების ბრალია: რომ მომიკვდეს ვინმე, სად წავიდე? ისე უცბად საით ვიშოვნო სასმელი და საჭირო სანოვაგეო? ამას ფიქრობს ზოგიერთი გლეხ-კაცი და იმას-კი აღარ—რომ მარტო მკვდრები გვახსოვდეს და ცოცხლები დავივიწყოთ, მაშინ ცოცხალიც ძალაუნებურად უნდა მკვდრებს გამოუდგეს უკან.

მკვდრების ხსოვნა და პატივისცემა კარგი საქმეა, ხოლო ეს პატივისცემა იმ ზომამდე არ უნდა მივიყვანოთ, ცოცხლები იმათ მსხვერპლად შევეწიროთ,—ეს უფრო დიდი უგუნურება იქნება ჩვენი.

მკვდრების გულისათვის მიკიტნების ყოლა და დუქნების ქონა ცოცხლების ცოცხლად დამარხვას მომაგონებს, თვით სიცოცხლის და ერის არსებობის მტრობას, რასაც არც ერთი ჭკვათა-მყოფელი ადამიანი არ იკისრებს, არც იკადრებს...

—

ეს მესამე თვე მიდის, რომ სამიკიტნოები დაკეტილად ითვლება, რადგან არავინ იმათ მოწმობას არ აძლევს, რათა „პატენტები“ აიღონ და თავისებურად ვაჭრობა გააჩაღონ, მაგრამ მედუქნენი მაინც თავისას არ იშლიან და ჩუმ-ჩუმად ისევ ვაჭრობენ. ამას, ვგონებ, უნდა ყურადღება მიაქციონ იმათ, ვისიც ვალია.

ასე, დღეს ჩვენის მხრის მედუქნენი ძალიან დაფიქრებულნი არიან და დეპუტაციას ხან ტფილისს ჰგზავნიან, ხან თელავს, ხან კიდევ დუშეთს იმის შესატყობლად—ამოგვიბრწყინდა თუ არა ჩვენი ბედის ვარსკვლავიო. თუ არ ამობრწყინებულა, ეგები დააჩქაროთ, რომ ჩქარა ამოვიდეს და გაანათლოს ჩვენი გული და გონებაო.

ბჭობითაც ამ გვარად ბჭობენ:

— ვა, განა ჰალა-ალაა, ეს ამოტონა დოვლათის პატრონი ხალხი, ამტელი მოვაჭრე ასე უცბად გააფუჭოს?

— ახში არ იქნება, ჩვენი საქმე დოხტში არ მოვიდეს,—უპასუხებს მას არუთინა.—ჩვენ რა? შენ ნახე ქალაქში რა ბობოლები სხედან-და! ვინ იცის, იმათი ქალალდებმა სენოტებს ელეთ-მელეთი მოჰგვარონ!.. ერთიც ალა მელქუას ნახე-და! პირდაპირ პეტერბურგში ეცემოდა... შენ ნახე, რა ოინი იქნება...

ასე მსჯელობენ და იმედვნებენ ჩვენნი მტერ-მოყვარენი და თუ ერთი, ოთხს წელს — მეტს არ ვიტყვი,—ასე გაგრძელდა მათი ყოფა-მდგომარეობა, ვგონებ, რომ შემდეგ ამ სიმღერას დაიძახებენ:

სანამ გვქონდა დუქნებიო,
ბევრი გვქონდა ფულებიო:
ღაბაბი გაფუებული
და ფაშვებიც მსუქნებიო;
ხმელს ლუკმას როდი ვკადრობდით,
ვჭამეთ მოხრაკულებიო;
მრავალ-ჟამიერ ვიძახეთ,
თან ჩავკარით ბუქნებიო.
გული მოლხენითა გვქონდა,
მოსვენებით მუხლებიო.
ჩუსტებს ვილა იკადრებდა,
ფეხზე გვეცვა „ტუფლებიო“;
ყოფნა უზრუნველი გვქონდა,
ყველაფერი უკლებიო.
ვერ უყურებთ ჩარხის ბრუნვას,
ამ ბოლო დროს რა ვნახეთო!?.
დაგვიკეტეს დუქნებიო,
გაგვითავდა ფულებიო,
ერთი მარტო ეს გვაკლია,
თავში დაგვცხონ ცულებიო.—
მარწუხები მოიტანონ,
ამოგვხადონ სულებიო.
ასე რისთვის გვეპყრობიან,
ხომ არა ვართ თულებიო?!.
ნეტა, კიდევ დიდხანს ვიელით
დავთრებ-დაკარგულებიო?!.

—

რა თქმა უნდა ეს ჩვენი გამამდიდრებელნი და გამანათლებელნი ყოველს ღონისძიებასა ხმარობენ, ლუკმა ხელიდგან არ გაუშვან. წინ-და-წინ რომ ჩვენ ხეობებს შემოეხიზნენ კუდალა, ქეცით გამოხრულის ვირებით მოიტანეს საქონელი და იცით მერე რა საქონელი? ძაღა, კევი, ახალ-ფერი, ლილა, ლილი, მძივი და სხვა-და-სხვა. და დღეს, თვითოეულმა მათგანმა, ოროლ-სამ-სამი დუქანი წამოჭიმა. მოდით, ამის მნახველმა თქვი: ვაჭრობაში ხეირი არ არისო! მოდი და იფიქრე, რომ ვაჭრებმა ჩვენიდგან-კი არ შეიძინეს სიმდიდრე, არამედ ციდგან ჩამოუვარდათ მზა-მზარეულადაო.

ხომ მოგეხსენებათ, თუ კაცმა ერთს რომელსამე საქმეში გაიმარჯვა, შემდეგისთვის უფრო გახალისდება, გამხნევდება. ჩვენებურმა მედუქნეებმაც რაკი ერთხელ-და-ერთხელ ხეირი ნახეს, მოუხშირეს დუქნების გაღებას. მართლაც, განა, ცოტა სარფას აძლევს აქაური მატყლი, ერბო და ყველი, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ? ჩაიგდეს ხელში ორიოდე [illegible], იერისა და არაგვისა, [illegible] და მისდევენ ხევით და ზევით [illegible]. როგორ გგონიათ? დღეს ხევსურეთში [illegible] „ნოთის“ მარცლების წკაპა-წკუპი გაისმის... [illegible]

ფშაველები ხომ განათლდნენ: ლაშის შინ ნაკეთები შალის ჯუბა გადაყარეს და მის ალაგს მარტო ჩით-ქიშმირ-ბამბაზიების [illegible].

დღეს მხოლოდ ხევსურეთია მტკიცედ ძველ წესზე: ხევსურს ვერც კაცს, ვერც დედაკაცს ვერ იპოვით დღეს, რომ შინ მომზადებული შალის ტანისამოსი არ ეცვას და თუ ხევსურებმაც თავიანთ „ტალავარი“ [illegible], მაშინ [illegible] შეუძლებელია ხევსურეთში ხევსურთა არსებობა.

ზოგიერთი რუსის მწიგნობარნი იმ აზრისანი არიან, რომ [illegible] და ვაჭრობა მიყრუებულ ადგილებში სასარგებლოა, რადგან იმათ [illegible] განათლების სხივი შეაქვთ. იქნება ეს ასეც იყოს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ზოგიერთი ჩვენი ვაჭრები რომ არ არიან განათლებულნი, რის განათლებაა, რის [illegible], რაში [illegible]—ჯიბეში ფული მოთავსდეს, ვარცლში—პური, თავში—ქუდი!?!

გოგოჭური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებული ცხენოსანი. დოდიკამ მალე შეიტყო საქმე როგორც იყო და შეეხმაურა ყაჩაღებს მათის წესისამებრ: ხან ქიშტურათ, ხან ჩერქეზულად—ოსურათ—რუსულათ-ქართულად და სხვა; სთხოვა კიდეც ნურაფერს დაგვიშავებთ და, აი, რაც რამა გვაქვს, წაიღეთო, მაგრამ ამაოდ; ყაჩაღები შემოერტყნენ გარშემო და დაახალეს თოფები, დასჭრეს დოდიკას ძმა, რომელიც დოდიკას რჩევით გადავარდა ურმიდგან, დაეცა მიწაზედ და მოიკვდანურა თავი. მეტი გზა არ იყო, რაკი შეატყო დოდიკამ, რომ უსიკვდილოდ გადარჩომა აღარ შეიძლებოდა, გაისვა რევოლვერს ხელი და შეუტია ყაჩაღებს: „ჰაი, თქვე ძაღლებო?—პატიოსნური თხოვნა არ გესმით და, მაშ რაკი ეგრეა, სანამ მე მომკლავდეთ, მანამ ცოცხალივე ავიღებ ჩემის ძმისა და ჩემს სისხლსაცაო“. გადმოხტა ურმიდგან, ამოეფარა ხარებს და დაუშინა თავისი დიდი რევოლვერი ყაჩაღებს.

დოდიკას მუქარამ მუქთად არ ჩაუარა. თავის რევოლვერის ხუთის ტყვიით ერთი გადმოაგდო ცხენიდგან და მოჰკლა, მეორეც ისე მძიმედ დასჭრა, რომ ცხენზედ ვეღარ დადგა და ისიც ძირს ჩამოვარდა. ტყვიები რომ გაუთავდა, დოდიკამ, თუმცა სასიკვდილოდ დაჭრილი იყო, მაგრამ კიდევ შეჰყვირა: თქვენს ბედს, თქვე ძაღლებო, რომ პატრონა აღარა მაქვს, თორემ აგრე არ დგატოვებდით და არ დაგნებდებოდითო და ახლა, თუ ახლოს მომიდგებით, მე ვიცი, რასაც გიზამთ ხანჯლით და, შორიდგან-კი თქვენი ვარ, მესროლეთ, რამდენიც გინდათო“. მართლაც დააყარეს სეტყვასავით თოფები და ჩაუწყდა საბრალო დოდიკას ხმა და დაეცა მიწაზედ ტყვიებით დახვრეტილი. ყაჩაღებმა მის ძმას ხელი აღარ ახლეს, რადგანაც დაჭრილი გატვრენილი ეგდო და მკვდარი ეგონათ, მაგრამ, სამაგიეროთ, მივიდნენ და საბრალო დოდიკას, კიდევ რამდენჯერმე ხანჯალი ჩასცეს გულში. ყოველი ესე დაჭრილმა ძმამ ილაპარაკა. სუყველა დავინახე, მაგრამ რა მექნა, არა შემძლო-რა? და, თუ გადავრჩი ამ ჭრილობას, მანამ ღმერთმა ჩემი სახლი ნუღარ მაჩვენოს, სანამ ერთი-ორი ქიშტის გულში მეც ისე ხანჯალი არ დაურიო, როგორც მათ ჩემის ძმის გულში დაურიეს ხანჯალიო! შემდეგ სამმა ამხანაგმა მკვდარი ამხანაგი წაიღესო და სამმა დაჭრილი და გაუდგნენ გზასაო.

საცა ეს ამბავი მოხდა, იქვე ახლო ფარეხებია, მაგრამ ფარეხში მყოფნი თურმე თითონაც შეშინდნენ. შემდეგ, ხმაურობა რომ მისწყდა, ფარეხში მყოფს მწყემსებს მიესმათ კვნესა და გმინვა დოდიკას დაჭრილის ძმისა. მეფარეხეები მივიდნენ და დაჭრილი შეიტანეს ფარეხში, ხოლო საბრალო დოდიკა-კი იქვე დასტოვეს, რადგანაც მკვდარი იყო. ყაჩაღებმა აღარც ხარები წაასხეს და აღარც სხვა რამ წაიღეს, რადგანაც თავიანთი ამხანაგები გაუჩნდათ თავში საცემი და წასაღები. როგორც ზევითაცა ვსთქვი, სამმა ამხანაგმა მკვდარი წაიღო და სამმა—დაჭრილი. მკვდარი რომელთაც წაიღეს, იმათ-კი გაასწრეს და წავიდნენ, მაგრამ დაჭრილი ვისაც მიჰყავნდათ, ისინი-კი გაებნენ მახეში; აი როგორ: რადგანაც დაჭრილს ცხენზედ ჯდომა თურმე აღარ შეეძლო, ამხანაგები ჯოხებზედ აკრავდნენ; ამ დროს დაეძებდა ყაჩაღებს ვლადიკავკავის მაზრის პირველ ნაწილის უფროსი ბ-ნი სტეფანოვი (ბ-ნ სტეფანოვს ბევრჯელ გაუბაწრავს ყაჩაღები). გამოცდილმა სტეფანოვმა გზას იქით რაღაც (ღამე იყო) საეჭვო ჩურჩული შეამჩნია. მაშინვე განკარგულება მისცა მხლებლებს, საეჭვო ალაგს სანგალი შემოარტყა და თავათ შეუძახა: „ვინა ხართ, რა ხალხნი ხართ, ჩქარა გვიპასუხეთ, დაგვნებდით, თორემ გესვრითო.“—ყაჩაღებისაგან პასუხი არ იყო. მაშინვე ბ-ნმა სტეფანოვმა მეორედაც გაუმეორა და მესამეთ-კი უბრძანა მხლებლებს: „ესროლეთო.“ მართლაც, იგრიალეს აქეთ-იქიდგან თოფებმა. მეტი გზა აღარ ჰქონდათ, ყაჩაღებმა ხვეწნით პასუხი მოსცეს, რომ, „ესეა ჩვენი საქმეო.“ ბ-ნმა სტეფანოვმა, რასაკვირველია, დაჭრილი და მისი სამი ამხანაგი შეიპყრო. მალე მანვე, ყაჩაღების გამოკითხვით, შეიტყო ყოველივე და თავის მხლებლებით და შეპყრობილ ყაჩაღებით გასწია იმ ალაგას, საცა ეს სამწუხარო სცენა მოხდა. იმ ღამეს ბ-ნმა სტეფანოვმა ფარეხში გაათია მხლებლებითურთ და მეორე დღეს დაჭრილები და შეპყრობილი ქიშტები კავკავში წაასხა. ამ ჟამად დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში წვანან, ხოლო ყაჩაღები სატუსაღოში არიან.

ქართველი ოსებში.

ნარკვევი.

ჟურნალ „კავკ. ვესტ.“-ის მეოთხე ნომერში გადმოთარგმნილია ცნობილ გერმანელის არმენისტის გიუბშმანის წერილი სომხურ ენის და მწერლობის შესახებ. გავაცნობთ მკითხველებს ზოგიერთს ადგილს ამ წერილისას.

ქრისტეს დაბადების შემდეგ მეხუთე საუკუნემდის სომხებს არ ჰქონდათ თავისი მწერლობა და ამიტომ ჩვენთვის სრულებით უცნობია ძველებური სომხური ენა, გარდა ზოგიერთ სახელისა, რომელსაც გადმოგვცემენ ბერძენთა, რომაელთა და აგრეთვე სპარსელთა მწერლები. რაკი სომხებს წინად საკუთარი ანბანი არა ჰქონდათ, ამიტომ წერის დროს ხმარობდნენ უცხო ენას—სპარსულს, სირიულს და ბერძნულს და უცხო ენების ანბანებს, რადგან არც ერთი უცხო ანბანი ცალკე არ ვარგოდა სომხურს ენაზედ წერისათვის.

მხოლოდ მეხუთე საუკუნის დამდეგს შეჰქმნა მესროფმა სომხური ანბანი; თუ სომხურს წყაროებს დავუჯერებთ, წინადაც ცდილან სომხები ანბანის შედგენას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. ასე რომ მესროფამდის არ არსებობდა სომხური მწერლობა ეროვნულ ენაზედ, მხოლოდ მესროფმა და კათალიკოს საჰაკმა (გარდ. 439 წ.) დააარსეს სომხური მწერლობა.

მესროფი და საჰაკი ცდილობდნენ შეექმნათ თავის ერისთვის საკუთარი წყარო ქრისტეანულ განათლებისა და ამით დამოუკიდებელი გაეხადათ სომხეთი გონებრივად სპარსეთისა და სირიისაგან. ამ საგნისათვის გადმოთარგმნეს ანბანის შექმნისათანავე რჩეული ნაწერები ქრისტეანე მწერლებისა.

როგორც მატიანენი გადმოგვცემენ, ჯერ კიდევ 450 წელს გადმოთარგმნილი იყო უკვე ბერძნულ და სირიულ ენიდგან 600-ზედ მეტი წიგნი...

პირველად ითარგმნებოდა, რასაკვირველია, უმთავრესად სასულიერო წიგნები. საერო შინაარსისა გადაითარგმნა—გრამატიკა დიონოს თრაკელისა, ფსევდოკალისთენის ალექსანდრეს ცხოვრება, არისტოტელის კატეგორიები და სხ.

სომხური მწერლობა თანდათან განვითარდა და გაიზარდა. დაიბადა ორიგინალი ნაწარმოებნიც, რომლის შინაარსს უმთავრესად შეადგენდა ღვთის-მეტყველება და ისტორია. სომხურს ნათარგმნს მწერლობას დიდი მნიშვნელობა აქვს საეკკლესიო ისტორიისა და ბერძნულ ფილოლოგიისათვის. სომხური ორიგინალი ისტორიული ნაწერები, თუმცა მარტო სომხების ისტორიას შეიცავენ, მაგრამ რადგან სომხებს მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონდათ სხვა ერებთან, მათ მნიშვნელობა აქვთ სპარსელების, ბიზანტიელების, არაბების, სელჯუკების და მონგოლების ისტორიისათვისაც. პოეზია ძლიერ სუსტად იყო განვითარებული...

რამდენისამე საუკუნის განმავლობაში შეჩერების შემდეგ, სომხური განათლება და მწერლობა კვლავ აღორძინდა ახალს დროში. ამ გარემოებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო მხითარისტების კონგრეგაციამ. ევროპასთან დაახლოვებული, ევროპის კულტურით განაყოფიერებული სომხური მწერლობა მტკიცედ დაადგა წარმატების გზას.

სომხურის ენის შესახებ ავტორის აზრი შემდეგია:

> სომხური არ ეკუთვნის არც ირანულ, არც არიულ ენებს, არამედ შეადგენს განსაკუთრებულს შტოს ინდო-გერმანულ ენების ჯგუფისასა.

წვრილი ამბები

ხშირად მოხდება, რომ კაცი მკვდარი ჰგონიათ და ასაფლავებენ; მაგრამ ეს ვითომ-და მკვდარი საფლავში იღვიძებს და, ადვილად წარმოსადგენია, რა ჯოჯოხეთურ ტანჯვას ჰგრძნობს საბრალო. ასეთ შეცდომის მსხვერპლად უმეტეს შემთხვევაში ეპილეპტიკები და ისინი ხდებიან, ვისაც ხანგრძლივი გულის შემოურა სჩვევია. ბევრი საშუალება აქვთ ექიმებს ამგვარ შეცდომათა ასაცილებლად, მაგრამ სავსებით მიზანს ვერც ერთი ვერ აღწევს. რენტგენის სხივები თვისის მომეტებულად რთულის მექანიზმით და მრავალთათვის ხელ-მიუწდომელ ფასით ვერ აკმაყოფილებს აგრეთვე დანიშნულებას. პარიჟის სამეცნიერო აკადემიამ ამ დღეებში ჯილდო მიუსაჯა მარსელელ ექიმს იკარს, რომლის გამოგონების წყალობითაც შესაძლებელი იქმნება ასეთ უბედურ შემთხვევის თავიდგან აცილება. ეს საშუალებაა: საეჭვო მკვდარს ფლუორესცინს შეუშხაპუნებენ, რომელიც ძლიერ საღებავ ნივთიერებისაგან შესდგება. მეცნიერება გვეუბნება, რომ კაცის სხეული გარეშე ელემენტს მანამდე ითვისებს, სანამ მასში ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა არ შესწყდება. მაშასადამე, თუ გარეშე ნივთიერება ძარღვში შევუშხაპუნეთ და შემდეგ მან ხელამდე მიაღწია, მაშინ ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა ეჭვს გარეშეა. იკარისაგან შემოღებული ფლუორესცინის სითხე ისეთი ძლიერი საღებავია, რომ ერთი გრამი საკმაოა 45,000 ლიტრ წყლის შესაღებად; ამასთან იგი სრულებით უვნებელია. ფლუორესცინის შეშხაპუნების ორი წამის შემდეგ იწყება რეაქცია: კანი და განსაკუთრებით ლორწოიანი აპკა, მალე ძლიერად იცვლის ფერს. თვალის ქსელი ღებულობს ბრწყინავ მწვანე ფერს, გუგა სრულებით იკარგება და თვალის ბუდიდგან ანათებს ზურმუხტი. ცრემლი, ნერწყვი და შარდიც შეღებილია; სისხლის წვეთი, ერთ ჭიქა წყალში რომ გახსნათ, გამჭვირვალე დაამწვანე ფერს მიიღებს. ერთ-ორი საათის შემდეგ ფლუორესცინი თირკმელების შეწყობით სრულებით იდევნება სხეულიდგან და ყველა დასახელებული მოვლენანი უკვალოდ ჰქრება. ამ გვარად, თუ ფლუორესცინს არავითარი რეაქცია არ მოჰყვა, კაცი უკვე მკვდრად უნდა აღვიაროთ.

⁂

გაზ. „კურ.“-ის სწერენ ბენდერიდგან: ქალაქის საბჭოს დადგენილების შემდეგ, რომელმაც 200 მან. გადასდო გოგოლისა და ჟუკოვსკის საღდესასწაულოდ, ერთი ხმოსანთაგანი წამოდგა და ბრძანა: „რათავხარჯავთ ფულს გოგოლის საღდესასწაულოდ? პატივი ვსცეთ ფეხზედ წამოდგომით და.... მადლობა მოვახსენოთ.“ მაშინ ვიღამაც იოხუნჯა: დეპუტაციის გაგზავნა აჯობებსო!.... მეორე გაზეთი «იუჟ. კრ.“ გადმოგვცემს არა ნაკლებ საყურადღებო ფაქტს იმის შესახებ, თუ როგორ იდღესასწაულეს გოგოლის ხსოვნა გადიაჩში. გოგოლის იუბილეს წინა დღეებში დაჰქონდათ ხელმოსაწერი ფურცელი, რომელიც გადიაჩის კლუბის წევრებმა გამოსცეს. ფურცელში მოხსენებული იყო, რომ 21 თებერვალს საზოგადო საკრებულოს დარბაზში „ნ. ვ. გოგოლის სახსოვრად ბლინებს“ ვამზადებთ და გიწვევთო.

თეატრი და ხელოვნება.

გორკის ახალი პიესა.

რამდენი ხანია რუსულ ლიტერატურაში არც ერთ ნაწარმოებს ისე არ აულაპარაკებია ჟურნალ-გაზეთობა, როგორც ახალგაზდა ნიჭიერ ბელეტრისტის მაქსიმ გორკის პიესამ—„Мѣщане“-მ აალაპარაკა. ეს პიესა ეხლა ხან წარმოადგინეს პეტერბურგში და გაზეთები, მიმართულების განურჩევლად, დიდად შეაქებენ გორკის, რომლის დიადმა ნიჭმაც ერთნაირის სიძლიერით იჩინა თავი როგორც ბელეტრისტიკასა, ისე დრამაში. უმთავრესი ამ პიესაში ისაა, რომ ავტორს გამოჰყავს მამები და შვილები, გვიხატავს ძველისა და ახალის შეტაკებას, აზრთა შეუთანხმებლობას, აქედგან წარმომდგარ ბრძოლას და ბოლოს განხეთქილებას. თვით სიტყვა „მეშჩანობა“ ავტორს სხვა აზრითა აქვს ნახმარი: იგი მცხოვრებთა განსაზღვრულ კლასს-კი არა ნიშნავს, არამედ ყველა იმ წვრილმანს, უსარგებლოს და გამოუსადეგარს, რაც ცხოვრებას აფერხებს, წინ-მსვლელობას ხელს უშლის. როგორც ზემოდაცა ვთქვით, ავტორი გვიხატავს მამებისა და შვილების შეტაკებას, ბრძოლას ძველსა და ახალს შორის. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტემაზედ პიესები რუსულად ბევრი დაუწერიათ. ასეთია, მაგალითად, პოტეხინის პიესა „Отрѣзанный ломотъ“, სადაც ავტორმა დაგვიხატა განხეთქილება თავად-აზნაურთა ოჯახებში, ნაიდენოვის „Дѣти Ванюшины“—იგივე განხეთქილება ვაჭართა ტრადიციების ნიადაგზედ, პოტაპენკოს „Чужiе“, სადაც ინტელიგენტ ოჯახის მამებისა და შვილების განხეთქილებაა გამოყვანილი. მაგრამ ისე ფართოდ საქმეს არავინ შეხედა, ისე ნათლად განხეთქილება ძველსა და ახალს შორის არავინ დაასურათხატა, ისეთი ტიპები, როგორც ძველისა, ისე ახალისა არავინ გამოიყვანა, როგორც გორკიმ თავის ახალს პიესაში.

ამისათვის გორკიმ აიღო „მეშჩანის“ ბეზსემენოვის ოჯახი. ძველის წარმომადგენელი ამ ოჯახში თვით მამაა, მღებავთა ამქრის უსტაბაში, მოხუცი, უწინდელ ტრადიციების მტკიცედ მიმდევარი. ბეზსემენოვსა ჰყავს შვილი პეტრე, სტუდენტად ყოფილი, და ქალი ტატიანა—მასწავლებელი. ამავე ოჯახში სცხოვრობს ბეზსემენოვის შვილობილი ნილი—ტეხნიკოსი და მემანქანე. აი, ესენი არიან ახალის აზრ-შეხედულების, ცხოვრების წარმომადგენელნი. მათსა და მამას შორის „ხიდია ჩატეხილი“, ერთმანეთისა არაფერი ესმით. მამა უბრალო კაცია, თავისი შვილები გულით უყვარს, მაგრამ მაინც ერთად ვერ მოთავსებულან, ვერ შეთანხმებულან. არც საკვირველია. მათ სხვა-და-სხვა ინტერესები აქვთ, სხვა აზრები, სხვა-და-სხვა თვალთახედვის ისრით ხელმძღვანელობენ. ამის გამო ოჯახში ყოველ-დღე შეტაკებაა ახალსა და ძველ თაობას შორის.

თვით ახალ-თაობის წარმომადგენელთა შორისაც დიდი განსხვავებაა. სულ სხვაა ნილი, სიცოცხლით, ძალ-ღონითა და მხნეობით სავსე კაცი და სულ სხვანი არიან სტუდენტად ყოფილი პეტრე და მასწავლებელი ქალი ტატიანა. ეს ორნი უფრო „გზა-დაბნეულ ცხოვართა“ ჰგვანან. სუსტებს, უხასიათოებს, შრომას არ მიჩვეულ, პეტრესა და ტატიანას ვერც ძველისაგან განშორება მოუხერხებიათ სამუდამოდ და სავსებით ტ ვერც ახალს მიჰკედლებიან. „პეტრე ყოველ დღე წუწუნებს, უჩივის თავისს ბედს, ყველაფერში სხვას ამტყუნებს, ხან ცხარობს კიდეც, მაგრამ ყოველთვის სხვებს უთმობს და ემორჩილება“. ასეთივეა უხასიათო ტატიანა: არ იცის, რა გააკეთოს როგორ იცხოვროს; იგი იყვარებს ნილს, მაგრამ, რადგანაც ეს უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევს, თავს იწამლავს. თუმცა ზემოდა ვთქვით, რომ პეტრე და ტატიანა ახალს ეკუთვნიანო, მაგრამ ნამდვილად იმათ არაფრის თავი არა აქვთ, არც ახლისა და არც ძველისა. „ტატიანა და პეტრე იმ გამოუსადეგარ, ხშირად მავნე, მცენარეებსა ჰგვანან, რომელნიც თავიანთ ცხოვრების გზაზედ უფრო მაგარს და ძლიერს ეხვევიან“. ისინი ხან ერთს ებღაუჭებიან, ხან მეორეს, ამიტომ არავითარი სიკეთე იმათგან არ წარმოსდგება. იმათი ცხოვრება გარდამავალ ხანას წარმოადგენს.

ნამდვილი წარმომადგენელი ახალის ცხოვრებისა და აზრ-შეხედულებისა ნილია—შვილობილი ბეზსემენოვისა. ავტორი ამ ნილის პირით თავისს რწმენას გვაცნობს. ნილი ის ძლიერი და თავისუფალი კაცია, რომელიც ძველის ნანგრევებზედ ახალს აღმოაცენებს. ისა და იმასთან ერთად პოლინა (რომელსაც ცოლად ირთავს) და მგალობელი ტეტერევი მომავალის შვილნი არან. ნილი ძლიერი კაცია, როგორც სულით, ისე სხეულით, უყვარს საქმე, შრომა, წუწუნი და ჩივილი არ უწყის; პირდაპირ მოქმედობს, იბრძვის, ჰგმობს, რაც დასაგმობად მიაჩნია და აქებს, რასაც ქების ღირსადა სცნობს. ხათრი და ყოყმანი ვერ ურიგდება ნილის ბუნებას. თავის მაგარის მკლავით და საღის გონებით ეს კაცი ყველაფერს მოახერხებს, ყოველ დაბრკოლებას დაარღვევს. ნილმა სიყვარულიც უბრალო და მარტივი იცის.

ნილს ბანს აძლევს საეკკლესიო ხოროს მგალობელი ტეტერევი, პირველისავით გამბედავი, პირდაპირი, მაგრამ ზედმეტი ლოთიც. როგორც შექსპირი მასხარას, ისე გორკი ამ ლოთს ბევრს მწარე სიმართლეს ალაპარაკებს. «ცხოვრებას სულელნი ამკობენ,—ამბობს ტეტერევი—სულელნი ცოტანი არიან. ისინი მუდამ რაღაცას დაეძებენ, რაც იმათთვის საჭირო არ არის... უყვართ გეგმების გამოგონება საერთო ბედნიერების დასამყარებლად და სხვა ამ გვარი სიტუტუცე... სულელი მთელ თავისს ცხოვრებას იმის გამოკვლევაში ატარებს, მინა გამჭვირვალე რათ არისო. გაიძვერა-კი აიღებს და ამ მინისაგან ბოთლს გააკეთებს. სულელი ვიდრე ცეცხლს აანთებს, კითხულობს, სად არის ცეცხლიო, როცა ცეცხლი გაქრება—რა იქნაო. გაიძვერა-კი თბილად ცეცხლთანა ზის».

აი, მოკლედ შინაარსი გორკის ახალი პიესისა. „უკანასკნელ წლებში,—სწერს ერთი რეცენზენტი,—არ მინახავს, სადაც ავტორს ისე მხატვრულად, ისე ნიჭიერად დაეხატოს ტიპები, როგორც გორკიმ დახატა“.

⁂

როგორც შევიტყეთ, ტფილისისა და ქუთაისის ქართულ დასების ზოგიერთ არტისტებს განუზრახავთ შეერთდნენ და ნაალდგომევს წარმოდგენები გამართონ საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში. ტფილისშიაც გაიმართება რამდენიმე წარმოდგენა. სხვათა შორის, გვეწვევა ახალგაზრდა არტისტი ქალი ნ. ჩხეიძე, რომელმაც ავადმყოფობისა გამო წელს ვერც ქუთაისისა და ვერც ტფილისის წარმოდგენებში ვერ მიიღო მონაწილეობა.

სიხარულით ვეგებებით ჩვენის არტისტების აზრს. მეტად სასიამოვნოა, რომ პროვინციელებს ხან-და-ხან მაინც ეძლევათ საშუალება მოისმინონ ქართული პიესები.

⁂

აღდგომების დღესასწაულებში, როგორც გავიგეთ, ტფილისის დასის არტისტებს, ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით, აზრადა აქვთ წარმოადგინონ ა. ყაზბეგის ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი».

საპასუხო

ბ-ნ ჯორჯაძის პასუხად *).

ბ-ნ ჯ—ძეს ძალიან უყვარს აზრის დასაბუთება სტატისტიკურ ცნობებით, ციფირებით და ამასთანავე, რომ ეჭვი არავის დაებადოს და მისი მოყვანილი ციფირები, ყალბად არავინ არ ჩასთვალოს, ყოველთვის სახელმძღვანელო წიგნის გვერდს აღნიშნავს ხოლმე. მაგრამ, რაკი ამ წიგნის გვერდს გადაჰშლით, გაოცდებით: იქ სულ სხვა ციფირს, სხვა მნიშვნელობის ცნობას ამოიკითხავთ!

ბ-ნმა ჯორჯაძემ ძალიან კარგად იცის, რომ ბევრს წიგნი ხელთ არა აქვს და ყველა ვერ მიუხვდება ასეთს საქციელს; ამით სარგებლობს ბ-ნი ჯ—ძე. როცა გამოაშკარავებთ და შეუსწორებთ შეცდომას, გგონიათ დაგეთანხმოთ, ან შეკრთეს მაინც? სულაც არა! პირ-იქით თვითვე გაწყრება, ეჭვი რად აიღეთ ჩემზედაო და მაშინვე იმავე წიგნიდან ამოჰკრეფს სულ სხვა ადგილიდგან, სულ სხვა საგანზე საბუთიანს აზრს და დიდის რიხით გიპასუხებთ: აბა, ამას დაუკვირდით, რა საბუთიანი და ჭკვიანური აზრია; თქვენ-კი მხედველობაში არ მიიღეთო... გაოცდებით, გაშტერდებით, ბ-ნ ჯ—ძის მაგიერ თქვენვე გაწითლდებით სირცხვილით!

ესა ყოფილა მეცნიერული მეთოდი ბ-ნის ჯ—ძისა, ეს მისი ფარ-ხმალია!

ბ-ნმა ჯ—ძემ უცნაური, ვითომ კიდევ ჩემი საწინააღმდეგო, ცნობა გამოაქვეყნა: „საკომლო (სახელმწიფო) გადასახადი ამერეთში 8 მ. 50 კ. იყო, იმერეთში 6 მანეთიო“ („ცნ. ფურც.“ № 1735).

ამ ცნობას არავითარი განმარტება არ დაურთო. არა სთქვა, რომ 8 მ. 50 კ. ამერეთში უდიდესი საკომლო გადასახადი იყო (maximum), ისიც ბორჩალოს მაზრის რამდენსამე სოფელში; ისიც არა სთქვა, რომ არის ისეთი სოფლებიც, სადაც ეს საკომლო გადასახადი მხოლოდ 50 კ. იყო (minimum).

ეს შეცდომა შევუსწორე და მოვახსენე: „აი, ნამდვილი ციფირები, იმავე წიგნში ნაჩვენები, რას ამბობს: ამერეთში საკომლო გადასახადი 8 მან. 50 კ.-კი არ არის, როგორც ჰბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე, არამედ 3 მ. 80 კ., იმერეთში, 6 მანეთი-კი არა, არამედ 3 მ. 83 კ... ამასთანავე იმ წიგნიდანვე ჩემს წერილში მოვიყვანე, სხვათა შორის, ეს ცხრილიც:

Число окладовъ въ Тифлисской губерніи—15	Величина окладовъ съ дыма.
	—отъ 50 к,—8 р. 50 к.

აბა, ყური ათხოვეთ, ამის საწინააღმდეგოდ ბ-ნი ჯ—ძე თავისს წერილში რასა ბრძანებს:

„ბ. ტფილისელი ჩვენ მიერ მოყვანილ ციფირებს უარ-ჰყოფს. ჯორჯაძემ, ჩვეულებისამებრ, განგებ დაამახინჯა და გაასხვაფერა ციფირებიო. გადავშალოთ „Податное обложеніе госуд. крест. зак. края“ და საქმის ნამდვილი ვითარება გავიგოთ. 139 გვერდზე სწერია: Размѣръ окладовъ по губерніямъ и уѣздамъ.

Губерніи.	Число окладовъ.	Велич. оклад. съ дыма.
Тифлисская	15	отъ—р. 50 к.—8 р. 50 к.»

ჩვენ რაღა ვსთქვით?! განა, ჩვენ არ მოვიყვანეთ პირველად ეს ცხრილი?!

ძალიან მოხერხებულად არის ბ-ნ ჯ—საგან ეს სიტყვები ამოწერილი: არც ნათქვამია, თუ ეს ცხრილი მე მოვიყვანე პირველად იმის ციფირების საწინააღმდეგოდ, არც ფრჩხილები უზის და ყველას, ვისაც ,,ივერია“ არ წაუკითხავს, ეგონება, რომ ყველა ეს ჩემზედ ადრე არის ნათქვამი ბ. ჯ—ისაგან.

შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენ-კი ორთა-შუა რიცხვის ანგარიში არ აღვნიშნეთ იმიტომ, რომ ეს ანგარიში საეჭვო ანგარიშად მიგვაჩნია. ჩვენ ავიღეთ უდიდესი გადასახადი 8 მ. 50 კ. (ტფ. გუბ.) და 6 მან. (ქუთ. გუბ). ეს გადასახადი სინამდვილესთან უფრო ახლო გვეჩვენება, ვიდრე ბ. ტფილისელის ციფირები: 3 მ. 80 კ. (ტფ. გუბ.) და 3 მ. 83 კ. (ქუთ. გუბ.). აი რატომ ორთა შუა რიცხვის ანგარიში, ძლიერ საეჭვო ანგარიშია მეთქი“.

კარგია აქ ეს შემოპარებული „მეთქი“ (ანუ მე ვსთქვი): მკითხველს ეგონება, რომ მართლა ბ-ნ ჯ—ძემ ყველა ეს წინადაც სთქვა და არა მაშინა ბრძანებს, როდესაც იძულებულია თავი იმართლოს.

რამდენი სტრიქონიც არის ამ თავის გასამართლებელს ტირადაში, იმოდენა სიყალბე და უმეცრებაა! ჯერ პირველი: როდისა ბრძანა ბ-ნმა ჯ—ძემ, რომ „ორთა შუა რიცხვი“ საეჭვოდ მიაჩნია? ამ უმეცრებას ეს მეცნიერი პირველადა ბრძანებს. დიაღ, ეხლა-კი გავიგეთ, რომ ბ-ნ ჯ—ძეს ,,ორთა შუა რიცხვი'' საეჭვოდ მიაჩნია. მეორე: მე ავიღე უდიდესი გადასახადი 8 მ. 50 კაპეიკით. ესეც პირველად გვესმის. მერე, რა ნება ჰქონდა სხვისი წიგნიდან ,,ორთა-შუა რიცხვის'' მაგიერ ეს maximum-ი აეღო და ეუწყებინა ქვეყნისათვის, ამას იხდიდა ამერეთში ყველა სახელმწიფო გლეხიო?!. მესამე: ბ. ტფილისელს მოჰყავს ,,ორთა-შუა რიცხვი'' გადასახადისა ტფილისის გუბერნიისათვის 3 მ. 80 კაპ. ეს იმის ციფირიაო! მტკნარი სიცრუეა! ეს ციფირი ტფილისელისა-კი არ არის, იმ წიგნის ავტორისაა, რომლითაც ბ-ნი ჯ—ძე ხელმძღვანელობს.

ვის გაუგონია, რომ „ორთა შუა რიცხვი“ სადმე საეჭვო რიცხვად იყოს ჩათვლილი?! ბ-ნ ჯორჯაძეს არა სცოდნია რა არის ,,ორთა შუა რიცხვი'' და იძულებული ვარ ვაუწყო, როგორ არის ეს რიცხვი იმის სახელმძღვანელო წიგნში ძალიან საბუთიანად გამოთვლილი და ნახმარი.

გლეხ-კაცობა ამერეთში 15 სხვა-და სხვა ნაირ საკომლო გადასახადს იხდიდა, მოყოლებული 50 კაპ., ვიდრე 8 მან. 50 კაპ.-მდე. ვსთქვათ, სოფ. ხორბალო იხდიდა საკომლო გადასახადს 50 კ-ს, ს. ბახტრიონი—4 მან., ბორჩალოს მაზრის რამდენიმე სოფელი—8 მ. 50 კ. და სხვა, ე. ი. მოყოლებული 50 კ. (ეს სულ მცირე გადასახადი იყო გუბერნიაში) 8 მ. 50 კ.-მდე (უდიდესი გადასახადი).

ჯერ გამოთვლილია თითო სოფელი რას იხდიოდა საკომლოს, მერე გამოთვლილია მთელი გუბერნიის სოფლების საკომლო გადასახადი, რომელიც შეადგენდა—183,909 მან. 82 კაპეიკს, და რომელსაც იხდიდა მთელი გუბერნიის სახაზინო გლეხ-კაცობა. შემდეგ ეს რიცხვი განაწილებულია მთელ გუბერნიის გლეხ-კაცთა კომლთა

---

*) ეს წერილი მ. ტფილისელმა წარუდგინა „ცნობის ფურცლის“ რედაქციას დასაბეჭდად იმ აზრით, რომ ამ გაზეთის მკითხველებს შესძლებოდათ მიხვედრილიყვნენ, თუ რა ნაირად ამახინჯებს ბ-ნი არ. ჯორჯაძე ავტორის აზრს და მის მიერ აღნიშნულ ფაქტებს, მაგრამ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა. ჩვენ გამოვტოვეთ ამ წერილიდამ მხოლოდ ის ადგილები, რომელიც უკვე ერთხელ იყო „ივერიაში“ და, მაშასადამე, ჩვენის მკითხველებისათვის ინტერესი აღარა ჰქონდა. რედ.

რიცხვზე და ნაჩვენებია, რომ „ორთა შუა რიცხვით“ თითო კომლს შეჰხვდება 3 მ. 80 კ. (და არა 8 მ. 50 კ., როგორც ბრძანებს ბ. ა. ჯ—ძე). ამასა ჰქვიან „ორთა შუა რიცხვი“, ანუ უკეთ ვსთქვათ, საშუალო რიცხვი. ამ რიცხვში ბახტრიონის ცოცხლებიც და მკვდრებიც შიგ არიან ჩართულნი და ნაანგარიშევნი. განა, ეს საშუალო რიცხვი იმას ამტკიცებს, რომ ხორბალოში გლეხკაცი 50 კ-ს-კი არა, 3 მ. 80 კ-ს იხდის? ან არა და ბორბალოს სოფელში გლეხი 8 მ. 50 კ-ის მაგიერ, 3 მ. 80 კ-ს იძლევა? ან ბახტრიონში ციებ-ცხელებას არ არსებობსო?!...

ბ-ნი ჯ—ძე ვერავის ვერ დააჯერებს, რომ სტატისტიკაში „ორთა შუა რიცხვი“, ანუ საშუალო რიცხვი საეჭვოდ მიაჩნდეს ვისმეს. ვიმეორებ, საშუალო რიცხვის სიყალბე ვის გაუგონია?! „ორთა შუა რიცხვი“-კი არ არის ყალბი, არამედ ახალი „ფასონის“ მეცნიერის ციფრები გახლავთ ყალბი და საეჭვო: ამერეთში საკომლო გადასახადი, როგორც ნაჩვენებია წიგნში, 183,909 მან. 82 კაპ. იყო, და, თუ ბ-ნ ჯ—ის ციფრი 8 მ. 50 კ. ვიქონიეთ სახეში, მაშინ ეს გადასახადი შეადგენდა 410,125 მანეთს. *)

გასაოცარია სწორედ! „ორთა შუა რიცხვის“ (3 მ. 80 კ.) სიყალბეს ბ-ნი ჯ—ძე ამტკიცებს თავისის გამოკვლევით და მოსაზრებით-კი არა, არამედ იმავე სახელმძღვანელო წიგნის სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვებით: გადაშალეთ წიგნის 154—159 გვერდი, სადაც სულ სხვა საგნის შესახებ არის ნაწერი, ე. ი. საკომლო გადასახადის უთანასწორო განაწილების შესახებ და, ვითომ ამ საფუძვლიან გამოკვლევით მე მიგიყენებს და „ორთა შუა რიცხვის“ სიყალბეს ვითომ ამით ამტკიცებს და ასაბუთებს. აბა დააკვირდით ამ სიტყვებს, რომელსაც ასე რიხით, მაგრამ უთაკილოდ და უადგილოდ ბრძანებს ბ-ნი ჯ—ძე:

«რომ ორთაშუა რიცხვის ანგარიში ყალბია და სინამდვილეს მოკლებული, შემდეგის ფაქტებიდან მტკიცდება. სოფ. ზემო-ავჭალაში, მაგალითად, გლეხებს არც ერთი მტკაველი სახაზინო მიწა არ ჰქონდათ, თითო კომლი-კი ექვს-ექვს მან. სახაზინო გადასახადს იხდიდა. სოფელ კუმისში 15 კომლს არა აქვთ სახაზინო მიწა, მიუხედავად ამისა, ესენი სახაზინო გადასახადს იმდენას იხდიდნენ (კომლი 4 მ. 50 კ.), რამდენსაც სხვა გლეხები, სახაზინო მიწებზე დაბინავებულნი. მარტყოფში და ბურდიანში დროებით ვალდებულნი და სახაზინო გლეხები ერთნაირ სახაზინო გადასახადს იხდიდნენ. სოფ. ხორბალოში თითო სახაზინო კომლს აქვს 28 დეს. მიწა, სოფელ ბახტრიონში—11 დეს. ხორბალელი გლეხი იხდის—50 კ., ბახტრიონელი 4 მან. ეს კიდევ არაფერი. ბახტრიონში ციებ-ცხელებისაგან ხალხი ამოწყდა, სულ 18 კომლიღა დარჩა და ამ 18 კომლს დახოცილების გადასახადსაც ართმევდნენ“.

რაკი თამამად და მოურიდებლად დაამტკიცა ბ-ნმა ჯ—ძემ „ორთა შუა რიცხვის“ სიყალბე, მიკვირს, რად იგმარა 8 მ. 50 კ.? განა, იმის თქმაც არ შეეძლო, რომ ამერეთში საკომლო გადასახადი 20 მანეთი იყოო ან მეტი!

ჩვენ არ ვიცით, რა უფრო ახლო ეჩვენება სინამდვილესთან ბ-ნ ჯ—ძეს, მაგრამ ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ახირებული ლოღიკის პატრონი ყოფილა ჩვენი მეცნიერი: რასაც ერთი და ორი კომლი იძლეოდა, ის ასისა და ორასის გადასახადად მიაჩნია და თამამად გაიძახის სინამდვილესთან ეს უფრო ახლო გვეჩვენებაო, რადგან სოფ. ბახტრიონში ხალხი ციებ-ცხელებით იხოცებაო!!.

იმედი მაქვს ბ-ნი ჯ—ძე შემდეგ ამ წერილის საპასუხოდ კიდევ გადაშლის იმავე წიგნს და რომელსამე გვერდს დაუწყებს ჯიჯგვნას და ჩხრეკას, ვითომ ჩემის აზრის, და არა იმავე წიგნის ავტორის, საწინააღმდეგოდ.

ახალი მცნების მოძღვარი თავისას ვერას ამბობს, რადგან ჯერ აძრულ საგნზედ არა იცის-რა და სხვის სიტყვებით და მოსაზრებით მიგიყენებს, ესა და ეს საბუთიანი აზრი არ იცითო, მიმალეთო, მხედველობაში არ მიიღეთო და სხვა...

ამასთანავე განგებ ივიწყებს ჩემს სიტყვებს,—ამ გადასახადის სიმძიმეზე ჯერ არას ვიტყვი, რადგან ამას დაწვრილებით მერე შევეხები-მეთქი, და ბრძანებს: „წინ და წინვე ვიცით ამ განმარტებისათვის“ (კარგია, თქვენმა მზემ, ეს განმარტება თავისად მიაჩნია ბ-ნ ჯ—ძეს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი სიტყვები უადგილო ალაგას მოიყვანა!) როგორ აჩქარებულა ბ-ნი ტფილისელი: ამაზე ლაპარაკი მინდოდა (!!!), მაგრამ ჯორჯაძემ არ დამაცადაო».

ნუ სწუხს ბ-ნი ჯორჯაძე, ტფილისელი მის მოსაზრებას და ლოღიკას ვერ შეეცილება: განა, ყველასა აქვს მისებური ნიჭი და გამბედაობა!..

ტყუილადაც ნუ იჯგება ბ-ნი ჯ—ძე, რადგან მისგან ამოწერილი საბუთები და განმარტება საკომლო გადასახადის უწეს-რიგობისა და უთანასწორობისა, ეკუთვნის მ. ვ. მაჩაბელს და მის ძმას ს. ვ. მაჩაბელს რომელთა გამოკვლევა არის დაბეჭდილი 1887 წელს (Матеріалы по изученію быта государствен. крестьянъ Закавказскаго края т. V ч., I, стр. 169 571) და რომელთა ცნობანი და მოსაზრება არის მოყვანილი ბ-ნ ჯ—ძის სახელმძღვანელო წიგნში, სადაც ნაჩვენებია მხოლოდ გვერდი ზემოდ აღნიშნულის გამოკვლევისა და არ არის-კი ნათქვამი, რომ ეს განმარტება ეკუთვნის ბ.ბ. მაჩაბლებს.

სასაცილო არ არის ეს ამბავი?! მაშ, როგორცა სჩანს, ცნობანი მარტყოფზე, ზემო-ავჭალაზე, ბურდიანზე, კუმისზე, ბახტრიონზე, ხორბალოზე და ბევრ სხვა სოფლებზე (მ. ვ. მაჩაბლის გამოკვლევა ეხება 207 სოფელს და ს. ვ. მაჩაბლის—52 სოფელს) ბ-ნ ჯორჯაძისგან დასახელებულ წიგნში ნათქვამი ამ ორ ძმას ეკუთვნის და, რასაკვირველია, რომ ეს ჩემთვის ახალი არ გახლავთ და კარგადაც მაქვს შესწავლილი.

ძმათ მაჩაბლთა და სხვათა გამოკვლევა დაწვრილებით ეხება საკომლო გადასახადის უწეს-რიგობას და კარგა ხნის დასაბუთებულია უსამართლოდ განაწილება ამ გადასახადისა, რომელიც დღეს გააუქმეს კიდეც და ამის მაგიერ შემოიღეს მიწის გადასახადი.

ნუ-თუ ეს შედეგია ბ-ნ ა. ჯ—ძის იაფ-ფასიანის და ფუქსავატის დემოკრატობისა?! ძალიან ადვილი ყოფილა დემოკრატობა! თავ-გამოდებით ამტკიცებს ბ-ნი ჯ—ძე იმას, რაც სხვებმა დიდი ხნის დაამტკიცეს, დაასაბუთეს და რაც გლეხ-კაცთა საკეთილ-დღეოდ გაუქმდა კიდეც.

დიახ, ბ-ნი ა. ჯ—ძე თავისას არას გვეუბნება, ვერაფრის თქმა ვერ მოუხერხებია და უნარი არა აქვს გვაუწყოს, რითი და რა ღონისძიებით შეიძლება გლეხ-კაცთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ძალიან მძიმე საქმის გადაწყვეტას გვაკისრებს ტფილისელი: „Губа не дура“-ო შემომიტია და მ. ვ. მაჩაბლის სიტყვებით, მოსაზრებით და საბუთებით-კი პირში ბურთსა მჩრის: აბა, ამ სიტყვებს დაუკვირდეს ბ. ტფილისელიო, რომელიც გლეხ-კაცთ მახეს უგებსო და თითქმის მათი მტერიაო, რადგან ჩემა, ბ ა. ჯ—ძის დემოკრატობა, არა სწამს, თაყვანს არა მცემს და ციფრების სიყალბეს მიმტკიცებსო.

ბ-ნ ჯორჯაძესებური დემოკრატი უსუსურ ბავშვს თუ გააღორებს, თორემ სხვას ვერავის.

რაც შეეხება ჯიჯგვნას და ვითომ განმარტებას 1900 წლის კანონისას, ე. ი. რა არის «владѣя, „пользуясь“ «საკუთრება», «საკუთვნო» და «отводная запись“, მოიჯარადრეს ეძლევა, თუ სახაზინო გლეხს, აღარას ვიტყვი, რადგან არსებით საგანს არ შეეხება და ბ-ნ ჯ—ძეს არაფრის გამოკვლევა არ შეუძლიან, და მხოლოდ დაყინებით „стриженный, бритый“-სა არ იყოს, თავისას გაიძახის. თუმც არ მესმის ამ კანონის შინაარსი, ბ-ნ ჯ—ძის შუამავლობა არ მესაჭიროება, პირ-და-პირ მივმართავ მ. ვ. მაჩაბელს, რომელსაც მინდობილი აქვს სახაზინო გლეხ-კაცთა მოწყობა სწორედ ამ კანონის ძალით...

ცოდნის საფანელი შემოაკლდა ბ-ნ ჯ—ძეს და ძალიან გაჯავრებული „მრავალ სიტყვაობას“ მიგიყენებს, „აწეწილ მდგომარეობაშიაო“ ბ. ტფილისელიო. რა გაეწყობა, შემდეგში უარესს უნდა მოველოდე. ამას-კი მოგახსენებ, რომ მრავალსიტყვაობა-კი არ არის დასაძრახისი, არამედ უაზრობა და საბუთების სიყალბე. ნურც იმის იმედი აქვს ბ-ნ ჯ—ძეს, რომ მკითხველს თავი მოაწონოს თავის „კუდა“ წერილით, რომელიც შედეგია უაზრობისა, უცოდინარობისა და სავსეა სიცრუით.

ჩემს „აწეწილ მდგომარეობას“ სოფლის ჭკუა და მეურნეობა მაინც დაამშვიდებს, როგორც თვითონვე ბრძანებს, მაგრამ თვით ბ. ჯ—ის აწეწილ აზრებს და ციფრებს რა ეშველება, მაგისი-კი რა მოგახსენოთ!...

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია ვაუწყო მკითხველს, რომ ბ-ნ ჯ—ძესთან კამათი შეუძლებელია და ამიტომ იმის წერილებს შევეხები მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი მეცნიერი არსებითს საგანს განმარტავს, თავისს იტყვის რასმეს და ხელს აიღებს იმ საპოლემიკო ფინებზე, რომლის მოსმენით „ყურნი მსმენელთა დავაღდებიან“!!!...

მ. ტფილისელი.

---

*) მთელ გუბერნიაში იმ დროს (1885—1886 წ.წ.) 48,250 კომლია ნაჩვენები, ნემცების გარდა. (Сводъ матеріаловъ по изучен. быта госуд. крест. Зак. края т. II стр. 121).

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ქვემოხსენებულთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შემწეობა აღმოუჩინეს ქ. იურიევის უნივერსიტეტის შეუძლებელ სტუდენტს ნოე რამიშვილს.

ბ.ბ. ლ. მასხარაშვილმა და ან. შაქარაშვილმა შემოსწირეს თითო მანეთი; ვ. ბალანჩივაძემ, დ. ყლენტმა, ტ. ჯვარიშვილმა, ვ. ლორთქიფანიძემ, ალ. გუგუნავამ, ვ. რუხაძემ, ვ. დუმბაძემ, მ. ბასილიამ, თ. გურგენიძემ და ის. თალაკვაძემ ათ-ათი შაური; ს. ძველაიამ ცხრა შაური; ლ. ცინცაძემ და ნ. გაჩეჩილაძემ ორ-ორი აბაზი; მ. კეკელიამ და გ. შილაკაძემ ექვს-ექვსი შაური; თ. ჯინორიძემ, ბ. კუფარიძემ, ნ. დუმბაძემ, ა. ცინცაძემ, ს. კეკელიძემ, ტ. მახარაძემ, მ. მგელაძემ, დ. ქინქლაძემ, ვ. კაკოიშვილმა და პ. საბაშვილმა ხუთ-ხუთი შაური; დ. მახარაშვილმა და ი. მენაბდემ თითო აბაზი; გ. გველესიანმა და ე. გაბიჩვაძემ ორ-ორი შაური.

რ. რ—შვილი.

„ივერიის“ ფოსტა.

ს. დ. ჯ—ში. ლ. გ. ჭ—ძეს: თქვენ მიერ გამოგზავნილი ხალხური ლექსი არ დაიბეჭდება. ეგ ხალხური ლექსი-კი არ არის, „ძმა-ბიჭისაგან“ შეთხზული შაირებია.

ტფ—სს. ბ. ე—ვს. თქვენი წინანდელი ლექსები არ დაიბეჭდება. სუსტი იყო. ნაწყვეტებს დავბეჭდავთ. სხვებიც მოგვაწოდეთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 აპრილი.

პეტერბურგი: დღეს, საოლქო სასამართლოში დაიწყო გარჩევა პოლკოვნიკის მაქსიმოვის საქმისა, რომელმაც დუელში მოკლა თავადი ვიტგენშტეინი.

პეტერბურგი. იაროსლავისა, ფსკოვისა, ურალსკისა და სხვა ქალაქებიდგან დეპეშები მოვიდა, რომ პანაშვიდები გადაუხდიათ სიპიაგინის სულის მოსახსენებლად.

პარიჟი. სერბიის დედოფალმა ნატალიამ მიიღო კათოლიკობა ბერკ-სიურ-მერში; დედოფალი მონათლა არრასის ეპისკოპოსმა ბიდენმა.

ბერლინი. გაზეთებმა აქ უკვე გამოსთქვეს თავისი აზრი მანჯურიის ხელშეკრულობის შესახებ, როდესაც ეს ხელშეკრულობა გამოაქვეყნა «ტაიმსმა». ახლა «პრავიტ. ვესტ.-“ის გამოცხადების შემდეგ სწერენ, რომ რუსეთმა მშვიდობიანობის დასაცველად აღადგინა status quo, რომელიც არსებობდა ჩინეთში მომხდარ არეულობამდის.

ლონდონი. „Daily-Waily“-ი იტყობინება, რომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება შეჩერდა. სამინისტრომ უარ-ჰყო ბურთა წინამძღოლების მოთხოვნილება დროებითის ზავის შესახებ. მთავრობის ბრძანებით მილნერი პრეტორიაში მოვიდა. პრეტორიაში ბურთა მიერ წარმოდგენილი წინადადებანი შემდეგია: ბურები თანახმანი არიან საერთო დამორჩილებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მაგრამ თხოულობენ სახლ-კარის აღდგენას და ამნისტიას კაპის ახალშენელ ინსურგენტთათვის აგრეთვე ბურგერთათვის, გაუქმებას პროკლამაციისას განდევნის შესახებ, იმ ვადის შემცირებას, რომელიც მთავრობამ დანიშნა წარმომადგენლობითის მმართველობის შემოსაღებად ბურთა ოლქებში და ინგლისის მიერ ორსავე რესპუბლიკის კანონიერ ვალდებულებათა მისაღებად.—საზოგადოებათა პალატაში ბალფურმა განაცხადა, რომ ახლა არავითარი ცნობა არა გვაქვს საშშვიდობო მოლაპარაკების შესახებ და ამ ხანად შეუძლებელიც არის, რომ იყოსო. მთავრობა მაშინვე გამოაცხადებს, რა წამსაც ისეთს რასმე მიიღებს, რის გამოცხადებაც შესაძლებელიაო.

ბერლინი. იმპერატორის ბრძანებით გუშინ ლეგენდვალდმა რუსეთის ელჩს სამძიმარი გამოუცხადა სიპიაგინის სიკვდილის გამო.

პეტერბურგი. პენზასა, ტულასა და ჩერნიგოვში პანაშვიდი გადაიხადეს სიპიაგინის სულის მოსახსენებლად.—3 აპრილს სიპიაგინის გვამთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ მათნი უდიდებულესობანი, დიდნი მთავარნი, მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრნი და სადიპლომატო კორპუსი.

მოსკოვი. მოსკოვის თავად-აზნაურობამ გადაწყვიტა გვირგვინით შეამკოს სიპიაგინის გვამი.

4 აპრილი.

პეტერბურგი. გადახდილ იქმნა პანაშვიდები სიპიაგინის სულის მოსახსენებლად პოლტავას, ორიოლს, ყაზანს, ოდესაში და მოსკოვის დეპუტატების საკრებულოში.

მოსკოვი. ქალაქის თავმა თავ. გოლიცინმა გახსნა ქალაქის სექცია ცეცხლის ჩამქრობთა კრებისა სიტყვით სიპიაგინის პატივსაცემლად. სექციამ პატივი სცა განსვენებულს ფეხზე წამოდგომით.

სოფია. ოფიციალური გაზეთი „ბოლგარია“ ამბობს, რომ მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, ხელი შეუშალოს მაკედონის კომიტეტებს ყოველ გვარს უკანონო მოქმედებას და კიდეც დახუროს ისინი, თუ რასმე დანაშაულობას ჩაიდენენ.

ბელგრადი. საერო განათლების მინისტრად ნამყოფი მარინკოვიჩი დაინიშნა სადიპლომატო აგენტად სოფიაში.

ლონდონი. მინისტრების საბჭოს დღევანდელის თათბირის შემდეგ მეფე მიიღო აუდენციაზე სოლისბერი.

ბრიუსელი. პალატა შეუდგა კონსტიტუციის შესახებ წინადადებათა განხილვას.

კონეკონგი. კანტონიდგან იტყობინებიან რომ იმპერატორის ჯარს 2000-საგან შემდგარს, რომელიც გაგზავნილი იყო გენერალ სუს მიერ მეამბოხეთა განსადევნად, თავს დაესხნენ მეამბოხენი და ყველანი დახოცეს ან ტყვეებად წაიყვანეს.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის ეგზარხოსმა პროტესტი განაცხადა სოფიასა და კონსტანტინეპოლში ფირმილიანის უსკიუბის ეპისკოპოსად დანიშვნის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ თუ ფირმილიანი ეპისკოპოსად დაინიშნა, მე სამსახურს თავს დავანებებო. ამ საქმეს განიხილავს მინისტრთა საბჭო.

პეტერბურგი. უკანვე გაბრუნდა ბოლგარიის მინისტრი დანევი.—ვიტგენშტეინის მკვლელს მაქსიმოვს გადაუწყვიტეს ორის წლით დაპატიმრება ციხეში. სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე პატიების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅝ გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	93¾ მყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომკ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	302 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	94¾
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	85¾ „
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89 „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	83¼ „
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის	„ 30
საქართ. ისტორია ბროსსე I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სიტყვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის.	„ 30
ყოველის მხრიდან. არბოლელის.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
ამბავი მადლის ქვის	,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების სალარო მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკის.	,, 30
ბუნება სურათებში, ი. აღნიაშვილის 1 მ.	,, 30
გლეხ-კაცის ისტორია, III IV ტ. 1 მ.	,, 20
გამზრდელი, აკაკის	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენის	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის	,, 15
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	,, 3
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეფ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	,, 1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	,, 60
სერო დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის გოშკი, ივ. ბ—ლის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძის	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძის	,, 50
ისტორია ქართულ სტამბების	,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილის.	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძის	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—სა	,, 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 50

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.